1966.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2

მარტი — აპრილი

1966 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მთავრობის დადგენილებათა კრებული

№ 2 მარტი—აპრილი 1966 წ.

შ ი ნ ა ა რ ს ი

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

9. თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის უნიფიცირებული ნორმების დანერგვის ღონისძიებათა შესახებ.
10. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ.
11. 1966 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის სწავლების გაფართოებისა და სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ მოწყობის ღონისძიებათა შესახებ.
12. საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შრომითი მომზადების ნაწილობრივი შეცვლის შესახებ.
23. კოლმეურნეობათა ბალანსებიდან შენობათა, ნაგებობათა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მოწყობილობისა და სხვა ქონების ჩამოწერის წესის შესახებ.
24. რესპუბლიკური საუწყებო და დარგობრივი, საქალაქო, რაიონული, გაერთიანებული და მრავალტირაჟიანი გაზეთებისა და ადგილობრივი რადიომაუწყებლობის რედაქციების მუშაკთა შტატებისა და ხელფასის განაკვეთების შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილებები

5. მრეწველობის მართვის გარდაქმნასთან დაკავშირებით რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლის შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

26. საქართველოს სსრ ქალაქებში რეკონსტრუქციასთან და ახალი ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებით საცხოვრებელი სახლების აღების შესახებ.
27. იმ ქალებისათვის საავადმყოფო ფურცლებისა და დახმარების მიცემის შესახებ, რომლებმაც ახალშობილი ბავშვები იშვილეს.
28. საქართველოს სსრ ადვოკატთა შრომის ანაზღაურების დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ.
29. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულის და კარტოფილის დამზადების, სამრეწველო გადამუშავების და რეალიზაციის მთავარი სამმართველოს — „საქმთავარკონსერვხილბოსტნის“ დაქვემდებარებულობის შესახებ.
30. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ.
31. „საქმთავარხილბოსტანის“ რაიონული დამზადების კანტორების შექმნის შესახებ.
32. „საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშობრივი დარაიონების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 22 აპრილის 228 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე.
33. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.
34. ირგვლივი პროტექტორის დადების მეთოდით ავტოსაბურების აღდგენის ღირებულების შესახებ.
35. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 თებერვლის № 119 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა გაუქმების შესახებ.
36. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის საკავშირო რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ.
37. ქ. თბილისში სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაობის დაწყების დროის შესახებ.
38. თბილისის სახლმშენებლობის კომბინატის ისეთი სახლების გამოშვებაზე გადაყვანის შესახებ, რომელთა სადგომების სიმაღლე 2,70 მეტრი იქნება.
39. „შოფრის კვალიფიკაციის მიკუთვნების წესის შესახებ დებულების თაობაზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 27 თებერვლის № 143 დადგენილების გაუქმების შესახებ.
40. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გამოყენებითი მათემატიკისა და პროგრამირების საპრობლემო ლაბორატორიის შექმნის შესახებ.
41. სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებისათვის მიწების გამოყოფის საკითხებზე შუამდგომლობის აღძვრისა და განხილვის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე.
42. საშუალო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის რიცხვიდან კვალიფიციურ მუშათა მოსამზადებლად საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში ტექნიკური სასწავლებლების მოწყობის შესახებ.
43 „სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის სავაჭრო საწარმოების მიერ მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ“ არსებული ინსტრუქციის დანართების, ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

44. იმ მუშაკთა კატეგორიების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებსაც შეიძლება მიეცეს სამსახურებრივი საცხოვრებელი ფართობი.
45. კოლმეურნეობათა ბალანსებიდან შენობათა, ნაგებობათა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მოწყობილობისა და სხვა ქონების ჩამოწერის წესის შესახებ.
46. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ.
47. საქართველოს სს რესპუბლიკაში ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების ერთიანი შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასების დაწესების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებები

19 თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის უნიფიცირებული ნორმების დანერგვის ღონისძიებათა შესახებ

თანამედროვე ქართულ სალიტერატურო ენაში მართლწერის, მორფოლოგიის, სინტაქსის, სტილისტიკის, ლექსიკისა და ფრაზეოლოგიის უნიფიცირებული ნორმების უსწრაფესად დანერგვის, თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვისა და მეტყველების კულტურის ამაღლებისათვის ბრძოლის გაძლიერების მიზნით, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. წინადადება მიეცეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიას:

— გამოსცეს 1967 წლისათვის თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების კრებული, რომელიც განხილული და დამტკიცებულია თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმათა დამდგენი მუდმივი სახელმწიფო კომისიის მიერ;

— სალიტერატურო ენის სიწმინდის დაცვისა და მეტყველების კულტურის ამაღლების მიზნით, გამოსცეს ყოველწლიური კრებული „ქართული მეტყველების კულტურის საკითხები“.

კრებულში დაიბეჭდოს სტატიები და ნარკვევები ქართული მართლწერის, ლექსიკის, ფრაზეოლოგიის, ტერმინოლოგიის, მორფოლოგიის, სინტაქსისა და სტილისტიკის საკითხებზე, რომლებიც მოწესრიგებას მოითხოვენ, აგრეთვე სისტემატურად მოთავსდეს მიმოხილვები გაზეთების, ჟურნალების, საშუალო და უმაღლესი სასწავლებლების სახელმძღვანელოების, სამეცნიერო და პოლიტიკური ლიტერატურის ენის სიწმინდის საკითხებზე.

დაევალოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტს გამოსაცემად მოამზადოს კრებული „ქართული მეტყველების კულტურის საკითხები.“

— საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა გამოუყოს ენათმეცნიერების ინსტიტუტს მეცნიერ მუშაკთა სამი საშტატო ერთეული მეტყველების კულტურის განყოფილებისათვის.

2. დაევალოთ საქდეს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტს და ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს ლიტერატურაში დანერგონ ქართულ ენაში ახლად წარმოქმნილი სპეციალური, სამეცნიერო-ტექნიკური და სხვა ტერმინების უნიფიცირებული ფორმები, რომლებიც შემუშავებულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მიერ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. ამ დადგენილებასთან დაკავშირებით, ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 26 ივნისის დადგენილება „თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის ნორმების გამოცემის შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 15 მარტი, № 162.

20 კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით და შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 იანვრის № 38 დადგენილებისა „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 იანვრის № 38 დადგენილება „კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“ დაეგზავნოთ სახელმძღვანელოდ საქართველოს კპ აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების, მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის, სასოფლო მშენებლობის და ფინანსთა სამინისტროებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკურ გაერთიანება „საქსოფლტექნიკას“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს, საქართველოს კპ რაიონულ კომიტეტებს და მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებს.

2. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის და საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელ ფაკულტეტებზე მსმენელებს შეარჩევენ და გაგზავნიან საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს რესპუბლიკური გაერთიანება „სოფ-სოფლტექნიკა“.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების მოსამზადებელ განყოფილებათა მსმენელებს დაამტკიცებს საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის, უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების და ფინანსთა სამინისტროებს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან ერთად წარმოუდგინონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს წინადადებანი იმის შესახებ, რომ მოეწყოს საშუალო სპეციალურ სასწავლებლებთან სასოფლო-სამეურნეო კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი სკოლები.

4. საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრომ გაითვალისწინონ გეგმებით, რომ გამოუყონ სასოფლო-სამეურნეო კადრების კვალიფიკაციის ამაღლების სკოლებს საერთო საცხოვრებლების მშენებლობისათვის, ლაბორატორიების მოწყობილობის, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ავტომობილებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა შესაძენად საჭირო სახსრები.

5. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის სახელმწიფო კომიტეტს მოაწყონ სასწავლო დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტებისა და სასოფლო-სამეურნეო კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი სკოლებისათვის.

6. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში დასაქმებულ ჰიდროტექნიკის და მელიორაციის დარგის სპეციალისტთა და მშენებელ ინჟინერთა კვალიფიკაციის ამაღლება მოხდეს საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკურ ინსტიტუტთან არსებულ კვალიფიკაციის ასამაღლებელ მოქმედ კურსებზე.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 15 მარტი, № 163.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს დადგენილება № 38

1966 წლის 15 იანვარი

მოსკოვი, კრემლი

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით, სკკპ ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს, მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს და მინისტრთა საბჭოებს გადააკეთონ 1965/66 სასწავლო წელს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების მოსამზადებელი ერთწლიანი სკოლები, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები და სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები სასოფლო-სამეურნეო უმაღლესი სასწავლებლების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელ ფაკულტეტებად, დანართის თანახმად.

აღნიშნულ ფაკულტეტებზე მოეწყოს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების მოსამზადებელი განყოფილებები და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი განყოფილებები.

დაწესდეს სწავლების ვადა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების მოსამზადებელ განყოფილებებზე 6 თვე და კოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელ განყოფილებებზე 3 თვემდე, ამასთან ყოველწლიურად იქნან მიღებული მსმენელები ხელმძღვანელი კადრების მოსამზადებელ განყოფილებებზე — 5.100 კაცი და კვალიფიკაციის ასამაღლებელ განყოფილებებზე — 36.400 კაცი.

სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებთან შეთანხმებით გაანაწილონ მსმენელთა აღნიშნული კონტინგენტი მოკავშირე რესპუბლიკებს შორის.

2. დაევალოთ რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს და უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს მოაწყონ 1965/66 სასწავლო წელს ვორონეჟის, კუიბიშევის, ნოვოსიბირსკის და ხარკოვის საინჟინერო-სამშენებლო ინსტიტუტებთან სასოფლო მშენებლობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი მუდმივმოქმედი ფაკულტეტები 3 თვემდე სწავლების ვადით იმ ანგარიშით, რომ ყოველწლიურად იქნან მიღებული მსმენელები თვითეულ ფაკულტეტზე 400 კაცის რაოდენობით.

3. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტების, აგრეთვე სასოფლო მშენებლობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტების ძირითადი ამოცანაა მსმენელთა ცოდნის დონის ამაღლება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების წარმოების ტექნოლოგიის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ქიმიზაციის, მელიორაციის, მექანიზაციის, ეკონომიკისა და ორგანიზაციის და სასოფლო მშენებლობის დარგში, მეცნიერების, ტექნიკისა და მოწინავე გამოცდილების უახლესი მიღწევების შესწავლის საფუძველზე.

4. დაწესდეს, რომ კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების მოსამზადებელ განყოფილებებზე, რომლებიც მოეწყობა ამ დადგენილების 1 პუნქტის შესაბამისად, მიიღებიან პირები არა უმეტეს 45 წლის ასაკისა, უპირატესად უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო განათლების მქონენი, კოლმეურნეობათა თავმჯდომარეების მოადგილეების და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების მოადგილეების, განყოფილებათა მმართველების, ფერმათა გამგეების, საწარმოო ბრიგადების ბრიგადირების, სოფლის მეურნეობის სპეციალისტების რიცხვიდან, რომლებიც მუშაობენ კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში, პარტიულ-საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოებში, რომლებსაც ახასიათებთ კარგი ორგანიზატორული ნიჭი და მოეპოვებათ სოფლის მეურნეობის მუშაობაში პრაქტიკული გამოცდილება და რომლებიც სწავლების დამთავრების შემდეგ შეიძლება გამოყენებულ იქნან ხელმძღვანელ სამუშაოზე კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელ განყოფილებებზე და სასოფლო მშენებლობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ფაკულტეტებზე გაიგზავნონ კოლმეურნეობათა თავმჯდომარეები,

საბჭოთა მეურნეობების დირექტორები, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოების და სხვა სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლების, სასოფლო პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სპეციალისტები, სოფლის მეურნეობის სპეციალისტები, რომლებიც მუშაობენ სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საქსოფლტექნიკის“ სისტემის საწარმოებსა და ორგანიზაციებში, იმ სამშენებლო ორგანიზაციების სპეციალისტები, რომლებიც ახორციელებენ სასოფლო მშენებლობას, უპირატესად უმაღლესი განათლების მქონე პირთა რიცხვიდან. აღნიშნულ მუშაკთა კვალიფიკაციის ამაღლება მოხდეს, როგორც წესი, ყოველი ხუთი წლის მუშაობის შემდეგ.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელ ფაკულტეტებსა და სასოფლო მშენებლობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ ფაკულტეტებზე მსმენელებს შეარჩევენ და გაგზავნიან მოკავშირე რესპუბლიკების სოფლის მეურნეობის სამინისტროები, სოფლის მეურნეობის სამხარეო და საოლქო სამმართველოები, მოკავშირე რესპუბლიკების მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროები და მშენებლობის სამინისტროები, „საქსოფლტექნიკის“ გაერთიანებები, პროფესიულ ტექნიკური განათლების ხელმძღვანელობის ორგანოები და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციები.

კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების მოსამზადებელი განყოფილებების მსმენელებს დაამტკიცებენ შესაბამისად მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალური კომიტეტები, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტები.

იმ პირებს, რომლებმაც დაამთავრეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტები და სასოფლო მშენებლობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტები, მიეცემათ მოწმობები.

ის პირები, რომლებმაც დაამთავრეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების მოსამზადებელი განყოფილებები, გაიგზავნებიან სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოების განკარგულებაში ხელმძღვანელ სამუშაოზე გამოსაყენებლად კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, ხოლო ის პირები, რომლებმაც დამათავრეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი განყოფილებები და სასოფლო მშენებლობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტები, გაიგზავნებიან სამუშაოდ იმ მეურნეობებსა და ორგანიზაციებში, რომლებმაც ისინი სასწავლებლად მიავლინეს.

5. უმაღლეს სასწავლებლებში, რომლებშიაც შექმნილია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურ-

ნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტები, სასოფლო მშენებლობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტები, შემოღებულ იქნას თანამდებობა პროორექტორისა კვალიფიკაციის ამაღლების დარგში.

დაწესდეს, რომ პროფესორ-მასწავლებელთა შემადგენლობის რაოდენობა კვალიფიკაციის ასამაღლებელი აღნიშნული ფაკულტეტებისათვის განისაზღვრება შემდეგი ანგარიშით: 14 მსმენელი საშუალოდ წლის განმავლობაში ერთ მასწავლებელზე, ხოლო სასწავლო-დამხმარე და ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის რაოდენობა — უმაღლესი სასწავლებლებისათვის დაწესებული ნორმების მიხედვით.

დაწესდეს კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტების და სასოფლო მშენებლობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტების პროფესორ-მასწავლებელთათვის, სასწავლო-დამხმარე და ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალისათვის შრომის ანაზღაურების პირობები, რომლებიც გათვალისწინებულია უმაღლესი სასწავლებლების შესაბამისი მუშაკებისათვის.

6. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტების და სასოფლო-მშენებლობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტების მსმენელთა მატერიალური უზრუნველყოფა ხორციელდება იმ პირობებში, რომლებიც გათვალისწინებულია ზემდგომი ორგანოების 1961 წლის 18 აგვისტოს დადგენილებით კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსების მსმენელებისათვის.

7. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტების და სასოფლო მშენებლობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტების დაფინანსება და შენახვა იწარმოებს საკავშირო ბიუჯეტის ხარჯზე.

8. დაევალოთ მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს და მინისტრთა საბჭოებს გადააკეთონ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმებთან, სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტებთან, საცდელ და მანქანათსაცდელ სადგურებთან და სხვა ორგანიზაციებთან არსებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები სასოფლო-სამეურნეო კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელ სკოლებად.

აღნიშნულ სკოლებში ჩატარდეს კვალიფიკაციის ამაღლება საშუალო სპეციალური განათლების მუშაკებისა: აგრონომების, ზოოტექნიკოსების, ვეტერინარი ფერშლების, მექანიკოსების, ტექნიკოს-მშენებლების, ჰიდროტექნიკოსების და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების, სოფლის მეურნეობის

სხვა სპეციალისტების, განყოფილებათა მმართველების, საწარმოო ბრიგადების ბრიგადირების და მეცხოველეობის ფერმების გამგეების, სსრ კავშირის მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სრულიად საკავშირო გაერთიანება „საკსოფლტექნიკის“ საწარმოთა და ორგანიზაციათა, მოკავშირე რესპუბლიკების მშენებლობის სამინისტროების იმ ორგანიზაციათა მუშაკების, რომლებიც ახორციელებენ სასოფლო მშენებლობას, და საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციათა მუშაკების.

დაწესდეს სასოფლო-სამეურნეო კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელ სკოლებში სწავლების ვადა სოფლის მეურნეობის და სასოფლო მშენებლობის სპეციალისტებისათვის — 2 თვემდე და კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების განყოფილებათა მმართველებისათვის, საწარმოო ბრიგადების ბრიგადირებისა და მეცხოველეობის ფერმების გამგეებისათვის — 3 თვემდე.

სასოფლო-სამეურნეო კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი სკოლების მსმენელთა კონტინგენტს და სკოლების ქსელს დააწესებენ მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან შეთანხმებით.

9. სასოფლო-სამეურნეო კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი სკოლების დაფინანსება და შენახვა იწარმოებს მოკავშირე რესპუბლიკების ბიუჯეტების ხარჯზე.

10. სასოფლო-სამეურნეო კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი სკოლების მასწავლებელთა შემადგენლობის და სასწავლო-დამხმარე და ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შტატი განისაზღვროს საშუალო სპეციალური სასწავლებლებისათვის დაწესებული ნორმების მიხედვით იმ მსმენელთა საშუალო-წლიური კონტინგენტის საფუძველზე, რომლებიც კვალიფიკაციას იმაღლებენ სკოლებში.

სკოლების მასწავლებელთა შემადგენლობის შრომის ანაზღაურება მოხდეს იმ წესითა და იმ ოდენობით, რაც დადგენილია საშუალო სპეციალური სასწავლებლების მასწავლებლებისათვის, ხოლო სასწავლო-დამხმარე და ადმინისტრაციულ-სამმართველო პერსონალის შრომის ანაზღაურება—იმ წესითა და იმ ოდენობით, რაც გათვალისწინებულია სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1964 წლის 15 ივლისის № 620 დადგენილებით კურსების, სასწავლო პუნქტების და ერთწლიანი სასოფლო-სამეურნეო სკოლების მუშაკებისათვის.

11. დაწესდეს, რომ სასოფლო-სამეურნეო კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი სკოლების მსმენელებს შეუნარჩუნდებათ საშუალო თვიური ხელფასი სამუშაო ადგილზე.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს შეუნარჩუნონ ამ სკოლებში მოსწავლე კოლმეურნეებს შრომის საშუალო თვიური საზღაური.

ამის გარდა, აღნიშნული სკოლების მსმენელებს დამატებით მიეცეთ სახელმწიფო სტიპენდია თვეში 40 მანეთის ოდენობით.

12. დაეკისროთ სასოფლო-სამეურნეო კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი სკოლებისადმი ხელმძღვანელობა, აგრეთვე მათი მომსახურების ორგანიზაცია მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო და საოლქო საბჭოების აღმასკომებს, ხოლო სასწავლო-მეთოდური ხელმძღვანელობა — სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

13. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა გაითვალისწინონ გეგმებით, რომ გამოუყონ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელ ფაკულტეტებს და სასოფლო-სამეურნეო კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელ სკოლებს სახსრები, რაც საჭიროა საერთო საცხოვრებლების ასაშენებლად, ლაბორატორიების მოწყობილობის შესაძენად და სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, ავტომობილებისა და სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებათა შესაძენად.

14. სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1960 წლის 3 ივნისის № 577 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, მიეცეთ სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელი კადრების და სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი იმ ერთწლიანი დაუსწრებელი ეკონომიური ფაკულტეტების მსმენელებს, რომლებიც მოწყობილია უმაღლეს სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებთან, დამატებითი შვებულება 30 კალენდარული დღის ხანგრძლიობით. დავალებითი სესიების, ჩათვლებისა და გამოცდების დროისათვის, ამასთან შეუნარჩუნონ ხელფასი ძირითად სამუშაო ადგილზე.

რჩევა მიეცეთ კოლმეურნეობებს დაადგინონ ანალოგიური წესი დავალებითი სესიების, ჩათვლებისა და გამოცდების დროისათვის შვებულების მიცემისა კოლმეურნეებისათვის, რომლებიც ამ ფაკულტეტებზე სწავლობენ წარმოებისაგან მოუწყვეტლივ.

15. დაევალოს სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სამი თვის ვადაში შეიმუშაოს და დაამტკიცოს სასწავლო გეგმები და პროგრამები კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტებისათვის, სასოფლო მშენებლობის სპეციალისტთა კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტებისა და სასოფლო-სამეურნეო კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი სკოლებისათვის.

16. დაევალოთ სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს ბეჭდვითი სიტყვის კომიტეტს მოაწყონ სასწავლო დამხმარე სახელმძღვანელოების გამოცემა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტებისა და სასოფლო-სამეურნეო კადრების კვალიფიკაციის ასამაღლებელი სკოლებისათვის.

17. დაევალოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულ იურიდიულ კომისიას სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროსთან, სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტთან ერთად, წარმოუდგინოს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სსრ კავშირის მთავრობის იმ გადაწყვეტილებათა ნუსხა, რომლებმაც ძალა დაკარგეს ამ დადგენილების გამოცემასთან დაკავშირებით.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის
მდივანი
ლ. ბრეჟნევი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე
ა. კოსიგინი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და
სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 15 იანვრის № 38
დადგენილების დანართი

ნ უ ს ხ ა

უმაღლესი სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლებისა, რომლებშიაც ეწყობა კოლმეურნეობებისა და ხაბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი კადრების და სოფლის მეურნეობის სპეციალისტების კვალიფიკაციის ასამაღლებელი ფაკულტეტები

რუსეთის სფს რესპუბლიკა

ალტაის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
აზოვ-შავი ზღვის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტი
ბაშკირეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ბლაგოვეშჩენსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ბურიატის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ველიკიე ლუკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ვოლოგდის მერძეველობის ინსტიტუტი
ვორონეჟის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ვოლგოგრადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
გორსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
გორკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
დაღისტნის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
დონის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ირკუტსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ყაზანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ყაზანის ნ. ე. ბაუმანის სახელობის ვეტერინარული ინსტიტუტი
კიროვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
კოსტრომის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი „კარავაევო“
კრასნოიარსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ყუბანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

კურგანსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
კურსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
კუიბიშევის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ლენინგრადის ვეტერინარული ინსტიტუტი
ლენინგრადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ი. ვ. მიჩურინის სახელობის მეხილეობა-მებოსტნეობის ინსტიტუტი
მოსკოვის ვეტერინარული აკადემია
მოსკოვის მიწათმოწყობის ინჟინერთა ინსტიტუტი
მოსკოვის ჰიდრო-სამელიორაციო ინსტიტუტი
მოსკოვის კ. ა. ტიმირიაზევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო აკადემია
ნოვოსიბირსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ნოვოჩერკასკის საინჟინერო-სამელიორაციო ინსტიტუტი
ომსკის ს. მ. კიროვის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ორენბურგის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
პენზის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
პერმის აკადემიკოს დ. ნ. პრიანიშნიკოვის სახელობის სასოფლო-სამეურ-
ნეო ინსტიტუტი
ზღვისპირეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
რიაზანის პ. ა. კოსტიჩევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
სარატოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
სვერდლოვსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
სტავროპოლის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ულიანოვსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ჩელიაბინსკის სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის
ინსტიტუტი
ჩუვაშეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

უკრაინის სს რესპუბლიკა

დნეპროპეტროვსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ჟიტომირის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
კამენეც-პოდოლსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ყირიმის მ. ი. კალინინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ლვოვის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ლუგანსკის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ოდესის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
უკრაინის სასოფლო-სამეურნეო აკადემია
უმანის ა. მ. გორკის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ხარკოვის ზოოვეტერინარული ინსტიტუტი
ხარკოვის ვ. ვ. დოკუჩაევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ხერსონის ა. დ. ციურუპას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელორუსიის სს რესპუბლიკა

ბელორუსიის სასოფლო-სამეურნეო აკადემია
ბელორუსიის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის ინსტიტუტი
ვიტებსკის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ვეტერინარული ინსტიტუტი
გროდნოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

უზბეკეთის სს რესპუბლიკა

სამარყანდის ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ტაშკენტის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ტაშკენტის სოფლის მეურნეობის ირიგაციისა და მექანიზაციის ინჟინერთა ინსტიტუტი

ყაზახეთის სს რესპუბლიკა

ალმა-ატის ზოოვეტერინარული ინსტიტუტი
ჯამბულის ჰიდროსამელიორაციო-სამშენებლო ინსტიტუტი
ყაზახეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
ცელინოგრადის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

საქართველოს სს რესპუბლიკა

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი
საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი

აზერბაიჯანის სს რესპუბლიკა

აზერბაიჯანის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

ლიტვის სს რესპუბლიკა

ლიტვის სასოფლო-სამეურნეო აკადემია

მოლდავეთის სს რესპუბლიკა

კიშინიოვის მ. ვ. ფრუნზეს სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

ლატვიის სს რესპუბლიკა

ლატვიის სასოფლო-სამეურნეო აკადემია

ყირგიზეთის სს რესპუბლიკა

ყირგიზეთის კ. ი. სკრიაბინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

ტაჯიკეთის სს რესპუბლიკა

ტაჯიკეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხეთის სს რესპუბლიკა

სომხეთის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

თურქმენეთის სს რესპუბლიკა

თურქმენეთის მ. ი. კალინინის სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი

ესტონეთის სს რესპუბლიკა

ესტონეთის სასოფლო-სამეურნეო აკადემია.

21 1966 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის სწავლების გაფართოებისა და სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ მოწყობის ღონისძიებათა შესახებ

იმასთან დაკავშირებით, რომ ერთი წლით შემცირდა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლის ვადა და 1966 წელს ერთსა და იმავე დროს ამთავრებენ სკოლას მეათე და მეთერთმეტე კლასების მოსწავლენი, აგრეთვე გადიდდება რვა კლასის კურსდამთავრებულთა რიცხვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 2 თებერვლის № 83 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოთ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ საწარმოებსა და ორგანიზაციებს, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, უზრუნველყონ 1966 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულ მოსწავლეთა გადიდებული კონტინგენტის მიღება უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, აგრეთვე წინასწარი პროფესიული მომზადების შემდეგ ახალგაზრდობის იმ ნაწილის დროზე მოწყობა სამუშაოდ სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებში, რომელიც ვერ შეძლებს სწავლის გაგრძელებას წარმოებისაგან მოწყვეტით.

2. იმ მიზნით, რომ ახალგაზრდობას, რომელიც 1966 წელს ამთავრებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, შეექმნას სწავლის შემდგომი გაგრძელებისა და მომზადების პირობები:

ა) გადიდდეს 1966 წელს რვაწლიანი სკოლების კურსდამთავრებულთა მიღება მეცხრე კლასებში 2800 კაცით, 1965 წელთან შედარებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცდეს 1966 წლისათვის გეგმა რვაწლიანი სკოლების კურსდამთავრებულთა მიღებისა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მეცხრე კლასებში 58,5 ათასი კაცის რაოდენობით.

პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტრომ პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით შეიმუშაონ ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ საყოველთაო სავალდებულო რვაწლიანი განათლების განხორციელებას და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებიდან მოსწავლეთა გასვლის შემცირებას;

ბ) გადიდდეს 1966 წელს მოსწავლეთა მიღება საშუალო სპეციალური სასწავლებლების დღის განყოფილებაზე 2900 კაცით, 1965 წელთან შედარებით.

დამტკიცდეს 1966 წლისათვის გეგმა მოსწავლეთა მიღებისა საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში 14.550 კაცის რაოდენობით, მათ შორის 10.800 კაცისა დღის განყოფილებაზე, რაც განაწილდეს სამინისტროების, უწყებების. სპეციალობათა და სწავლების სახეობათა მიხედვით, № 1 დანართის თანახმად*

გ) გადიდდეს 1966 წელს სტუდენტთა მიღება უმაღლესი სასწავლებლების დღის განყოფილებაზე 1325 კაცით, 1965 წელთან შედარებით.

დამტკიცდეს 1966 წლისათვის გეგმა სტუდენტთა მიღებისა უმაღლეს სასწავლებლებში 11.350 კაცის რაოდენობით, მათ შორის 5600 კაცისა დღის განყოფილებაზე, რაც განაწილდეს სამინისტროების, უწყებების, სპეციალობათა და სწავლების სახეობათა მიხედვით, № 2 დანართის თანახმად;

დ) გადიდდეს 1966 წელს მოსწავლეთა მიღება პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დღის განყოფილებაზე 6.720 კაცით, 1965 წელთან შედარებით.

დამტკიცდეს 1966 წლისათვის გეგმა მოსწავლეთა მიღებისა პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების დღის განყოფილებაზე 14.700 კაცის რაოდენობით.

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის დაკომპლექტებისას გათვალისწინებულ იქნას ცალკეული ჯგუფების შექმნა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთაგან.

დამტკიცდეს გეგმა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის მიღებისა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში 1966 წლისათვის, რაც განაწილდეს საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების მიხედვით, № 3 დანართის თანახმად.

არ იქნას დაშვებული პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში იმ მოსწავლეთა მიღების შემცირება, რომლებიც რვაწლიან სკოლებს ამთავრებენ.

დაევალოთ პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონო-

---

*) დანართები არ იბეჭდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და ...
საბჭოების აღმასკომებს უზრუნველყონ პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეთა დაკომპლექტება ძირითადად ადგილობრივი ახალგაზრდობის რიცხვიდან;

ე) შექმნან პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოების სისტემაში, დიდ სამრეწველო საწარმოებთან, საბჭოთა მეურნეობებთან, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციებთან ტექნიკური სასწავლებლები კვალიფიციურ მუშათა მოსამზადებლად იმ ახალგაზრდობის რიცხვიდან, რომელიც საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს ამთავრებს.

დამტკიცდეს 1966 წლისათვის გეგმა აღნიშნულ ტექნიკურ სასწავლებლებში მოსწავლეთა მიღებისა 2500 კაცის რაოდენობით.

ტექნიკური სასწავლებლების აღნიშნული კონტინგენტი ჩაეთვალოს ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის გეგმაში იმ საწარმოებს, რომლებთანაც ეს სასწავლებლები ეწყობა.

დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროსთან, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტთან, შესაბამის სამინისტროებთან, უწყებებთან და საწარმოებთან ერთად, ორი კვირის ვადაში წარმოადგინონ წინადადებანი — თუ რომელ საწარმოებთან უნდა მოეწყოს ტექნიკური სასწავლებლები, აგრეთვე ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ მათს მზადყოფნას მოსწავლეთა მისაღებად, 1966 წლის 1 ივლისამდე;

ვ) საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა მოაწყონ (კადრებზე სახალხო მეურნეობის დარგების მოთხოვნილების გათვალისწინებით) მოკლევადიანი კურსების ფართო ქსელი წარმოებისაგან მოწყვეტით 6 თვემდე სწავლების ვადით, ხოლო უფრო რთული პროფესიებისათვის — ერთ წლამდე ვადით საწარმოებში, აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან (საწარმოებთან, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციებთან სახელშეკრულებო საწყისებზე, მათი სახსრების ანგარიშში) კვალიფიციური მუშების მოსამზადებლად მრეწველობისა, მშენებლობისა, ტრანსპორტისა, კავშირგაბმულობისა, კომუნალური საწარმოებისა, საბჭოთა მეურნეობებისა, კოლმეურნეობებისა და სხვა ორგანიზაციებისათვის, საშუალო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის რიცხვიდან.

დამტკიცდეს 1966 წლისათვის გეგმა მშენებელი მუშების (მემონტაჟეებისა და მექანიზატორების) მომზადებისა აღნიშნულ კურსებზე არანაკლებ 2 ათასი კაცისა, საყოფაცხოვრებო მომსახურების მუშაკებისა — არანაკლებ 2 ათასი კაცისა საშუალო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის რიცხვიდან, რაც განაწილდეს საქართველოს სსრ სამინისტროებისა და უწყებების მიხედვით, № 4 დანართის თანახმად;

ზ) დაევალოთ რესპუბლიკის სამინისტროებსა და უწყებებს შეიმუშაონ და განახორციელონ 1966 წელს ღონისძიებანი, რომ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთაგან მოამზადონ კვალიფიციური მუშები 1967 წელსა და მომდევნო წლებში ასამუშავებელ საწარმოებში სამუშაოდ. ამ მიზნით, საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი, რომლებიც ახალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მშენებლობათა განლაგების რაიონებში ცხოვრობენ, — გაგზავნიან მათი სავალ-ვილისამებრ პროფესიული სწავლებისათვის ასამუშავებელ საწარმოთა ანალოგიურ მოქმედ საწარმოებში.

3. საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ, განათლების სამინისტრომ, სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტრომ, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტმა და სხვა სამინისტროებმა და უწყებებმა, რომლებსაც უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლები აქვთ უზრუნველყონ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში, პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში, საშუალო სპეციალურ და უმაღლეს სასწავლებლებში ახალგაზრდობის მიღების ამ დადგენილებით გათვალისწინებული გადიდება, ამ მიზნით გააფართოონ სასწავლო მოედნები, სასწავლო-საწარმოო სახელოსნოები, კაბინეტები, ლაბორატორიები, საერთო საცხოვრებლები, გაადიდონ მეცადინეობის ცვლადობა და სასწავლო ჯგუფების დატვირთულობა, აგრეთვე მშენებარე სასწავლებლების გადაცემა საექსპლუატაციოდ;

4. დაევალოთ საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს, მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, სოფლის მეურნეობის სამინისტროს, საქმთავარენერგოს, საქჰიდროენერგომშენს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს მიმდინარე წლის 15 აგვისტომდე უზრუნველყონ ისეთი ობიექტების მშენებლობის დამთავრება და საექსპლუატაციოდ გადაცემა, როგორიცაა:

№ 27 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის სასწავლო კორპუსი ქ. თბილისში 250 მოსწავლისათვის (საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო);

№ 42 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის სასწავლო კორპუსი ქ. ქუთაისში 240 მოსწავლისათვის (საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო);

№ 30 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის სასწავლო კორპუსი სოფ. ნოჯიხევში 240 მოსწავლისათვის (საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო);

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის სასწავლო კორპუსი ქ. ბათუმში 240 მოსწავლისათვის (საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო);

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კომპლექსი ქ. სოხუმში 240 მოსწავლისათვის (საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტრო);

პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის კომპლექსი დაბა გარდაბანში 200 მოსწავლისათვის (საქმთავარენერგო);

№ 8 პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლის 106-საწოლიანი საერთო საცხოვრებლები ქ. წულუკიძეში (საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტი).

5. საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა, საწარმოთა, მშენებლობათა და სხვა ორგანიზაციათა ხელმძღვანელებმა მიიღონ ზომები ახალგაზრდობის პროფესიული სწავლების გასაუმჯობესებლად, რისთვისაც:

ა) განამტკიცონ სასწავლო-საწარმოო ბაზა მუშათა მოსამზადებლად წარმოებაში; გაითვალისწინონ წლიური გეგმებით სასწავლო კომბინატების, პუნქტების, სასწავლო-საწარმოო საამქროების, მალების, უბნების, სახელოსნოებისა და პოლიგონების შექმნა და გაფართოება;

ბ) უზრუნველყონ, რომ უსასყიდლოდ გადასცენ, საბაზო საწარმოებმა, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციებმა პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებს მათთვის საჭირო მოწყობილობა, მანქანები, ხელსაწყოები და მექანიზმები როგორც სასწავლო პროცესის განსახორციელებლად, ისე იმისათვისაც, რომ შესრულდეს საწარმოო სწავლების პროცესში საწარმოებისა და ორგანიზაციების შეკვეთები;

გ) შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა გაუმჯობესდეს ახალგაზრდობისათვის საწარმოო სპეციალობათა სწავლების ორგანიზაცია იმ ანგარიშით, რომ ახალგაზრდა მუშები უფრო სწრაფად და უკეთ დაეუფლონ საჭირო პროფესიულ ცოდნასა და პრაქტიკულ ჩვევებს, აგრეთვე შეითვისონ სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების წესები. აგრეთვე გამოყონ ახალგაზრდობის პროფესიული სწავლებისათვის ყველაზე მომზადებული ინჟინრები, ტექნიკოსები და კვალიფიციური მუშები, რომელთაც უნარი შესწევთ უზრუნველყონ ახალგაზრდობის არა მარტო პროფესიული მომზადება, არამედ მისი სწორი აღზრდაც;

დ) მიზანშეწონილად იქნას მიჩნეული, რომ შეძლებისდაგვარად გადაეცეს ცალკეულ საწარმოებთან არსებული სასწავლო საამქროები და საკლასო ოთახები საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს;

ე) აიკრძალოს პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების სასწავლო, საწარმოო, კულტურულ-საყოფაცხოვრებო და საცხოვრებელი სადგომების, აგრეთვე იმ სასწავლო კომბინატების, საამქროების, უბნებისა და მალებისა და სახელოსნოების დაკავება არაპირდაპირი დანიშნულებით გამოსაყენებლად, რომლებშიაც წარმოებს მუშების პროფესიულ-ტექნიკური სწავლება.

6. დამტკიცდეს 1966 წლისათვის გეგმა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის, აგრეთვე იმ ახალგაზრდობის მოწყობისა სამუშაოდ, რომელსაც საშუალო განათლება არ მიუღია, 70 ათასი კაცის რაოდენობით, რაც განაწილდეს საქართველოს სსრ სამინისტროების, უწყებების და რესპუბლიკის ტერიტორიაზე განლაგებული საკავშირო დაქვემდებარების საწარმოებისა და ორგანიზაციების მიხედვით, № 5 დანართის თანახმად, და ავტონომიური რესპუბლიკების, ავტონომიური ოლქის და რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების მიხედვით.

იმ მიზნით, რომ დროზე იქნან მოწყობილი სამუშაოზე ახალგაზრდები, რომლებიც 1966 წელს ამთავრებენ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებს, დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს ორი თვის ვადაში შეიმუშაონ თვითეული ქალაქისა და რაიონის მიხედვით კონკრეტული ღონისძიებანი, რომლე-

ბიც უზრუნველყოფენ ახალგაზრდობის შრომითს მოწყობას დამტკიცებული გეგმის თანახმად, საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებში, კოლმეურნეობებში, სამშენებლო და სხვა ორგანიზაციებში, რომლებიც მდებარეობენ ქალაქის, რაიონის ტერიტორიაზე, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, საჭიროების შემთხვევაში გაითვალისწინონ ზოგადსაგანმანათლებლო საშუალო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის გაგზავნა (მისი სურვილისამებრ) ორგანიზებული წესით რესპუბლიკის უმნიშვნელოვანეს საწარმოებში და მშენებლობებზე.

7. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომმა, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებმა, სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, სახალხო განათლების ორგანოების და კომკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით, ჩაატარონ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა შორის ახსნა-განმარტებითი მუშაობა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში ამ ახალგაზრდობის მონაწილეობის აუცილებლობის შესახებ, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა მოეწყოს სამუშაოზე საშუალო სკოლების კურსდამთავრებული სულ ცოტა 21 ათასი კაცი კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, რაც განაწილდეს რესპუბლიკის რაიონების მიხედვით, № 7 დანართის თანახმად.

შეუქმნან აღნიშნულ ახალგაზრდებს იმის პირობები, რომ შეიძინონ კურსებზე, უშუალოდ წარმოებაში, მექანიზატორების, მშენებლების, მეცხოველეობის პროფესია და სოფლის მეურნეობისათვის საჭირო სხვა პროფესიები.

8. დაევალოთ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს და ცეკავშირს მიიღონ სამუშაოზე უპირატესად ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ქალიშვილები, ამასთან წინასწარ მოაწყონ მათი პროფესიული სწავლება სასწავლებლებში, სკოლებში, კურსებზე და უშუალოდ წარმოებაში.

9. ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის სამუშაოზე მიღების გადიდებისათვის პირობების შექმნის მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 26 დეკემბრის № 806-85 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, დაწესდეს სამუშაოზე მოზარდთა მისაღებად სამუშაო ადგილების ჯავშანი საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშამოსამსახურეთა საერთო რაოდენობის 0,5-დან 10 პროცენტამდე, რაც განაწილდეს სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით, № 8 დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ სამინისტროებმა და უწყებებმა დაამტკიცონ საქვეუწყებო საწარმოებში, მშენებლობებზე და სხვა ორგანიზაციებში მოზარდთა მისაღებად სამუშაო ადგილების ჯავშანი იმ ოდენობის ფარგლებში, რაც დაწესებულია სახალხო მეურნეობის დარგებისათვის.

10. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს, საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, 1966 წლიდან დაწყებული, გამოყონ შრომის გეგმებით ხელფასის დამტკიცებული ფონდის ფარგლებში ცალკე პწკარად ხელფასის ფონდი, რაც საჭიროა ამ დადგენილე-

ბის მე-14 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტში აღნიშნულ მოზარდთა შრომის ანაზღაურებისათვის, ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის იმ გეგმის გათვალისწინებით, რომელიც დაწესებულია სამრეწველო საწარმოებისა და მშენებლობებისათვის.

უფლება მიენიჭოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს:

ა) გაადიდონ მოზარდთა შრომის ასანაზღაურებლად გამოყოფილი ხელფასის ფონდი მუშა-მოსამსახურეთა ხელფასის საერთო ფონდის ფარგლებში;

ბ) გადაანაწილონ საქვეუწყებო საწარმოებსა და მშენებლობებს შორის ხელფასის ფონდი მოზარდთა შრომის ასანაზღაურებლად იმ ვადების მიუხედავად, რომლებიც დაწესებულია საწარმოებისა და მშენებლობების კვარტალურ და თვიურ გეგმებში ცვლილებათა შესატანად.

11. შეიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის რესპუბლიკური კომისია.

რესპუბლიკურ კომისიასთან შეიქმნას შტატის მუშაკთა აპარატი 3 ერთეულის რაოდენობით.

რჩევა მიეცეთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს ორი კვირის ვადაში შექმნან ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის კომისიები კომისიის თავმჯდომარის, პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული და სამეურნეო ორგანიზაციების, სახალხო და პროფესიულ-ტექნიკური განათლების ორგანოების წარმომადგენელთა შემადგენლობით, ამასთან შექმნან შტატის მუშაკთა აპარატი 1-2 ერთეულის რაოდენობით, მმართველობის ორგანოების მუშაკთა საერთო რაოდენობისა და ხელფასის ფონდის ფარგლებში.

თუ აუცილებელია 18 წლის ასაკის ახალგაზრდა მუშათა და მოსამსახურეთა განთავისუფლება სამუშაოდან, საწარმოები და ორგანიზაციები, მიზეზების მიუხედავად, მოვალენი არიან ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის საქალაქო (რაიონულ) კომისიებთან ერთად უზრუნველყონ მათი მოწყობა ახალ სამუშაო ადგილზე.

12. დაევალოთ საქართველოს სსრ სამინისტროებსა და უწყებებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების აღმასკომებს, საგეგმო ორგანოებთან ერთად, უზრუნველყონ 1956 და შემდგომ წლებში საშუალო და პატარა ქალაქებსა და მუშათა დაბებში, სადაც არ მოიპოვება მოზარდთა შრომის გამოყენების საკმაო შესაძლებლობანი:

ა) ახალ წარმოებათა განვითარება და საამქროებისა და უბნების მოწყობა ᲐᲐ მოქმედი საწარმოების შემადგენლობაში, რომლებშიაც უპირატესად გამოყენებული იქნება ახალგაზრდობის შრომა;

ბ) მსხვილი საწარმოების ფილიალებისა და საამქროების, ცვლისა და დამხმარე წარმოებათა შექმნა საწარმოებთან კოოპერაციის საფუძველზე;

გ) ადგილობრივი მრეწველობის საწარმოების გაფართოება ნედლეულისა და მასალების ადგილობრივი წყაროების, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ნარჩენების გამოყენების ბაზაზე, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების საქონლის, საშენი მასალების, ბოსტნეულისა და ხილის კონსერვის წარმოების, გარეული ხილისა და კენკრის დამზადების და სხვ. მოწყობა და გადიდება, აგრეთვე მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების განვითარება.

13. პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად, გააძლიერონ კონტროლი წარმოებაში ახალგაზრდობის მიღებისადმი, მისი პროფესიული სწავლებისა, აღზრდისა და შრომითი გამოყენებისადმი.

საქართველოს პროფსაბჭომ და ადგილობრივმა პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა უმკაცრესი კონტროლი გაუწიონ იმას, რომ სამეურნეო ხელმძღვანელებმა დაიცვან ახალგაზრდობის შრომის დაცვის კანონები; გააძლიერონ პროფკავშირული ორგანიზაციების როლი მუშაობაში, რაც დაკავშირებულია ახალგაზრდობის საწარმოო-ტექნიკურ სწავლებასთან, მისთვის შრომისა და დასვენების საჭირო პირობების შექმნასთან, აგრეთვე საყოფაცხოვრებო პირობების შექმნასთან.

საქართველოს ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და ადგილობრივმა კომკავშირულმა ორგანიზაციებმა გააძლიერონ კომკავშირული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა სკოლიდან წარმოებაში მოსული ახალგაზრდობის შრომითი აღზრდისათვის; განუვითარონ ახალგაზრდებს — ვაჟებსა და ქალიშვილებს იმის მისწრაფება, რომ დაეუფლონ პროფესიებს, ტექნიკურ ცოდნას და მოწინავე მუშათა მუშაობის მეთოდებს.

კომკავშირულმა ორგანოებმა სახალხო განათლების ორგანოებთან ერთად გააძლიერონ მუშაობა საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში ახალგაზრდობის პროფესიული ორიენტაციისათვის, ამასთან იქონიონ მხედველობაში, რომ საჭიროა მისი უფრო ფართოდ მოზიდვა მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, აგრეთვე სხვა დარგების საწარმოებში სამუშაოდ, რომლებიც დაკავშირებულია მოსახლეობის მომსახურებასთან.

14. იმასთან დაკავშირებით, რომ გადიდდა 1966 წლისათვის სახალხო-სამეურნეო გეგმით თავდაპირველად დაწესებული კონტინგენტი ახალგაზრდობის მიღებისა უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში, აგრეთვე რესპუბლიკის პროფტექნიკური განათლების სისტემის სასწავლებლებში, დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ ახალგაზრდობის შრომითი მოწყობის კომისიას განსაზღვროს იმ დამატებითი ასიგნობების თან-

ხა, რაც საჭიროა აღნიშნული დამატებით მისაღები კონტინგენტის შესანახად შესაბამისი გაანგარიშებებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსათვის წარსადგენად.

15. მიღებულ იქნას სახელმძღვანელოდ, რომ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 2 თებერვლის № 83 დადგენილებით „1966 წელს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის სწავლების გაფართოებისა და სახალხო მეურნეობაში სამუშაოდ მოწყობის ღონისძიებათა შესახებ“:

ა) ახლად მოწყობილი ტექნიკური სასწავლებლებისა და პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების ცალკეული ჯგუფების მოსწავლეებს საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა რიცხვიდან დაუწესდათ სტიპენდია იმ ოდენობით, რაც ეძლევათ ყოფილი ტექნიკური სასწავლებლების ბაზაზე შექმნილი პროფესიულ-ტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1954 წლის 2 აგვისტოს № 1573 დადგენილების შესაბამისად;

ბ) ახალგაზრდებს, რომლებსაც საწარმოები და ორგანიზაციები გზავნიან კვალიფიციურ მუშათა მოსამზადებელ კურსებზე წარმოებისაგან მოწყვეტით, მიეცემათ იმ სატარიფო განაკვეთის (თანამდებობრივი სარგოს) 50 პროცენტი, რაც დაწესებულია იმ პროფესიისა (თანამდებობის) და კვალიფიკაციისათვის, რომელთა დასაკავებლად მათ ამზადებენ. კურსების სხვაქალაქელ მსმენელებს აუნაზღაურდებათ კურსებზე გამგზავრების ხარჯები (იქით და აქეთ) სსრ კავშირის სახკომსაბჭოს 1940 წლის 19 ივნისის № 1047 დადგენილებით გათვალისწინებული ნორმების მიხედვით, აგრეთვე უფასოდ დაეთმობათ საერთო საცხოვრებელი. ნებადართულია, როგორც გამონაკლისი, იჯარით იქნას აღებული 1966-1967 წლებში მოქალაქეებისაგან საცხოვრებელი სადგომები აღნიშნული კურსების მსმენელთა მოსათავსებლად იმ ანგარიშით, რომ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების მიერ დაწესებული ბინის ქირის განაკვეთებს დაემატოს თანხა, მაგრამ არა უმეტეს 3 მანეთისა თვეში ერთ მსმენელზე, იმ საწარმოებისა და ორგანიზაციების სახსრების ხარჯზე, რომლებმაც ისინი კურსებზე გაგზავნეს;

გ) მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს ნება დაერთო, როგორც გამონაკლისი, დაუწესონ 1966 წელს რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებს, მშენებლობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სხვა ორგანიზაციებს, მათი უწყებრივი დაქვემდებარების მიუხედავად, ახალგაზრდობის სამუშაოზე მიღების დავალებანი, რომლებიც აღემატება ჯავშნის დამტკიცებულ ოდენობას, მოწაფისა და სამუშაო ადგილების მაქსიმალურად შესაძლო რაოდენობის დათმობის საფუძველზე;

დ) სამრეწველო საწარმოებისა და სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უფლება მიენიჭათ დაუწესონ, პროფკავშირთა შესაბამის კომიტეტებთან შეთანხმებით, 18 წლამდე ასაკის მუშებს, რომლებმაც დაამთავრეს საწარმოოსწავლებიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები, მოკლევადიანი კურსები ან გაიარეს ინდივიდუალურ-ბრიგადული სწავლება უშუალოდ წარმოებაში, გამომუშავების შემცირებული ნორმები, მაგრამ არა უმეტეს 20 პროცენტისა, დამოუკიდებელი მუშაობის დაწყებიდან ოთხი თვის განმავლობაში.

აღნიშნული ახალგაზრდა მუშებისათვის გამომუშავების შემცირებული ნორმების დაწესებასთან დაკავშირებული ხარჯები გაწეულ იქნას შესაბამისი საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელფასის ფონდების ფარგლებში.

შენარჩუნებულია გამომუშავების შემცირებული ნორმების დადგენის წესი, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 8 თებერვლის № 77 დადგენილებით ახალგაზრდა მუშებისათვის, რომლებიც დასაქმებული არიან დაზგის სამუშაოებზე მანქანათმშენებლობის მრეწველობის საწარმოებში;

ე) იმ მიზნით, რომ შეიქმნას საწარმოთა მეტი დაინტერესება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის კურსდამთავრებული ახალგაზრდობის სამუშაოზე მიღებით, ნება დაერთო სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკს აძლიოს 1966-1967 წლებში მსუბუქი და კვების მრეწველობის რენტაბელურად მომუშავე საწარმოებს და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებს, თუ ისინი მიიღებენ ისეთი პროდუქციის წარმოების გადიდების დამატებითს დავალებებს, რომელიც მოსახლეობის მოთხოვნილებით სარგებლობს და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგში, და ამასთან დაკავშირებით გაადიდებენ მუშაკთა რაოდენობას, — სახსრები ხელფასის გასაცემად ხელფასის დამტკიცებული ფონდის გადამეტებით გეგმის გადაჭარბების ყოველ პროცენტში ხელფასის ფონდის ერთი პროცენტის ოდენობით;

ვ) დაწესებულია ტექნიკურ და პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში კვალიფიციური მუშების მოსამზადებლად საშუალო სკოლების კურსდამთავრებულთა რიცხვიდან ისეთ პროფესიებში, რომლებიც გადიდებულ ზოგადსაგანმანათლებლო დონეს საჭიროებენ, სწავლის ვადა ერთ წლამდე.

ნება დაერთო სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს დააწესოს ცალკეული რთული პროფესიებისათვის კვალიფიციურ მუშათა მომზადების უფრო ხანგრძლივი ვადა;

ზ) დაწესებულია, რომ მოზარდები, რომლებიც მიღებული არიან სამუშაოზე სამრეწველო საწარმოებში და მშენებლობებზე, ვიდრე მათ 17 წელი შეუსრულდება, აგრეთვე 17-დან 18 წლამდე ასაკის მოზარდები საწარმოო სწავლების გავლის პერიოდში არ შეიტანებიან საწარმოებისა და მშენებლობების მუშაკთა საშუალო-სიობრივ რაოდენობაში, რომლითაც წარმოებს შრომის ნაყოფიერების გამოანგარიშება;

თ) დაევალათ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს მოაწყონ პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებში მაღალკვალიფიციური მუშების მომზადება სწავლების სამ წლამდე ვადით მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, მშენებლობაზე, ტრანსპორტზე და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოებში პროფესიების იმ ნუსხის მიხედვით, რომელიც შეთანხმებულია სსრ კავშირის დაინტერესებულ სამინისტროებთან, უწყებებთან და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალურ საბჭოსთან.

იმ მუშათა პროფესიების ნუსხის დადგენილი წესით განსაზღვრისას, რომელთა მომზადება უშუალოდ წარმოებაში ხდება, გათვალისწინებულ იქნეს 18 წლამდე ასაკის მოზარდთა საწარმოო სწავლების ვადა მათი ასაკისა და შესაძენი პროფესიის სირთულის გათვალისწინებით, მაგრამ არა უმეტეს ერთი წლისა;

ი) გავრცელებულია მოსწავლეებზე, რომლებიც პროფესიებს ეუფლებიან უშუალოდ წარმოებაში, საბჭოთა მეურნეობებსა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში, სწავლის დროისათვის შრომის ანაზღაურების პირობები, რაც გათვალისწინებულია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 10 დეკემბრის № 1369 დადგენილებით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 22 მარტი, № 180.

22 საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შრომითი მომზადების ნაწილობრივი შეცვლის შესახებ

შესაბამისად სკკპ ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 23 თებერვლის № 144 დადგენილებისა „ზოგადსაგანმანათლებლო სკოლაში შრომითი მომზადების ნაწილობრივ შეცვლის შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს:

ა) მიმდინარე წლის 1 მაისამდე წარმოუდგინოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად ადგილობრივ ორგანოებთან შეთანხმებული ნუსხა საშუალო სკოლებისა, რომელთაც მოეპოვებათ შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა მოსწავლეთა პროფესიული მომზადებისათვის;

ბ) პროფესიული სწავლება ამ სკოლებში აწარმოოს იმ დროის ხარჯზე, რომელიც სასწავლო გეგმით გამოიყოფა მოსწავლეთა შრომითი მომზადებისათვის, აგრეთვე წრეობრივი და კლასგარეშე მეცადინეობის სხვა ფორმების გამოყენებით.

2. შეტანილ იქნას საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში ბრძანებულების პროექტი იმის თაობაზე, რომ ნაწილობრივ შეიცვალოს მუხ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი 8 კანონისა „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 19 აპრილი, № 235.

23 კოლმეურნეობათა ბალანსებიდან შენობათა, ნაგებობათა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მოწყობილობისა და სხვა ქონების ჩამოწერის წესის შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 7 იანვრის № 10 დადგენილებისა „კოლმეურნეობათა ბალანსებიდან შენობათა, ნაგებობათა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მოწყობილობისა და სხვა ქონების ჩამოწერის წესის შესახებ“, საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

ძალადაკარგულად ჩაითვალოს „საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების დამუშავების მექანიზაციის მდგომარეობისა და მისი დონის ამაღლების ზომების შესახებ“ საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1962 წლის 16 იანვრის № 69 დადგენილების მე-16 პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

აღნიშნული დადგენილების მე-17 პუნქტში სიტყვები: „რესპუბლიკური გაერთიანება „საქსოფლტექნიკა“ შეიცვალოს სიტყვებით: „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო“.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჟავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წლის 19 აპრილი, № 236.

24 რესპუბლიკური საუწყებო და დარგობრივი, საქალაქო, რაიონული, გაერთიანებული და მრავალტირაჟიანი გაზეთებისა და ადგილობრივი რადიომაუწყებლობის რედაქციების მუშაკთა შტატებისა და ხელფასის განაკვეთების შესახებ

ამონაკრები

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ე ნ:

1. დაწესდეს 1966 წლის 1 მარტიდან რესპუბლიკური საუწყებო და დარგობრივი, საქალაქო, რაიონული, გაერთიანებული, მრავალტირაჟიანი გაზეთებისა და ადგილობრივი რადიომაუწყებლობის რედაქციების მუშაკთა შტატები და ხელფასის განაკვეთები, აგრეთვე საავტორო ჰონორარის ოდენობა, №№1-15 დანართების თანახმად.

2. იმ შემთხვევებში, როდესაც ახლად შემოღებული თანამდებობრივი განაკვეთები მოქმედ განაკვეთებზე ნაკლებია (დანამატებითა და შეღავათებით), ამ მუშაკებს მოცემულ რედაქციაში და იმავე თანამდებობაზე მუშაობის დროის განმავლობაში შეუნარჩუნდებათ ამჟამად მოქმედი განაკვეთები, შეღავათების გათვალისწინებით.

3. ნება დაერთოს რესპუბლიკური საუწყებო და დარგობრივი გაზეთების რედაქციებს დააჯილდოონ რედაქციების შტატის მუშაკები არასაშტატო ავტორთა მასალების ორგანიზაციისა და მაღალხარისხოვნად მომზადებისათვის.

დაჯილდოება აწარმოონ გაზეთებისათვის გათვალისწინებული საავტორო ჰონორარის ხარჯზე. იმ ჰონორარის საერთო თანხა, რაც დასაჯილდოებლად იხარჯება, არ უნდა აღემატებოდეს შტატის მუშაკებისათვის დაწესებული ჰონორარის თანხის 10 პროცენტს.

გაზეთების რედაქციების შტატის მუშაკებს შეიძლება მიეცეთ გამოქვეყნებული მასალისათვის და დაიხარჯოს დასაჯილდოებლად ჰონორარის საერთო თანხის არა უმეტეს 40 პროცენტისა.

4. შრომის ანაზღაურების ახალი პირობების შემოღების შემდეგ გაუქმდეს გაზეთების რედაქციებში მოქმედი განაკვეთები, პერსონალური დანამატები და ხელფასის დანამატები.

5. ნება დართულ იქნას საწარმოების (ორგანიზაციების, დაწესებულებების) მრავალტირაჟიანი გაზეთების იმ განთავისუფლებულ მუშაკთა დაჯილდოება არსებული დებულებისა და დადგენილი წესის შესაბამისად, საწარმოების (ორგანიზაციების, დაწესებულებების) მუშაკებისათვის გათვალისწინებული ოდენობით, რომლებიც აქტიურად უწყობდნენ ხელს გეგმიანი მაჩვენებლების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულებას. აღნიშნულ მუშაკთა პრემიებს დაამტკიცებს საწარმოს (ორგანიზაციის, დაწესებულების) ხელმძღვანელი შესაბამის პარტიულ ორგანიზაციასთან შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

6. დაწესდეს, რომ ახალი მრავალტირაჟიანი გაზეთები შეიძლება გამოიცეს საწარმოებში, მშენებლობებზე, ორგანიზაციებში, დაწესებულებებში, სადაც მუშათა (მოსამსახურეთა, სტუდენტთა) რიცხვი არ არის 2,5-3 ათას კაცზე ნაკლები.

7. მრავალტირაჟიანი გაზეთების მუშაკთა ხელფასის მომატება განხორციელდეს საწარმოებისათვის (ორგანიზაციებისათვის, დაწესებულებებისათვის) დაწესებული ხელფასის ფონდების ფარგლებში, ამასთან ხარჯებს გასწევენ პროფკავშირის საფაბრიკო-საქარხნო (ადგილობრივი) კომიტეტები (10 პროცენტი) და საწარმოები, ორგანიზაციები, დაწესებულებები (90 პროცენტი).

8. რესპუბლიკური და საოლქო გაზეთების რედაქციებში შეიძლება შეიქმნას რედაქციის ფონდი, რომლის დანიშნულება იქნება სამკურნალო დახმარების გაცემა, მატერიალური დახმარების აღმოჩენა, დასასვენებელი სახლებისა და სანატორიუმების საგზურების შეძენა და შტატის მუშაკთა დაჯილდოება. რედაქციის ფონდი შეიქმნება რედაქციის მუშაკთა ხელფასის წლიური ფონდის 5 პროცენტამდე ოდენობით, გეგმიან და ზეგეგმით დაგროვებათა ხარჯზე, ხოლო საზარალო გაზეთებში — გეგმიანი ზარალის შემცირების ხარჯზე.

9. დაწესდეს, რომ საქალაქო, რაიონული და გაერთიანებული გაზეთების რედაქტორებს ყოველწლიურად მიეცემათ სამკურნალო დახმარება თვიური თანამდებობრივი განაკვეთის 70 პროცენტის რაოდენობით, აგრეთვე აუნაზღაურდებათ 80 პროცენტამდე, მაგრამ არა უმეტეს 100 მანეთისა, სანატორიულ-საკურორტო საგზურების ღირებულება.

10. გაზეთების ჰონორარის ფონდის ხარჯვაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით დაწესდეს, რომ ჰონორარის გამოწერა წარმოებს მხოლოდ რედკოლეგიის (რედაქტორის) მიერ დამტკიცებული საჰონორარო სკალით, რომლითაც გათვალისწინებულ უნდა იქნას ასანაზღაურებელი სალიტერატურო და საილუსტრაციო მასალების ყველა ძირითადი სახეობა.

11. შეწყდეს საავტორო ჰონორარის გაცემა სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, სასწავლებლების, საწარმოების, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების უკლებლივ ყველა მრავალტირაჟიან გაზეთში.

12. დაწესდეს, რომ უკლებლივ ყველა მრავალტირაჟიანი გაზეთის გამოცემა, რომლებიც გამოდის გაზეთ „პრავდის“ ნახევარი ფორმატის 2 გვერდზე, თვეში ერთხელ, ორჯერ და სამჯერ, რომლებიც არ არიან აღნიშნული ამ დადგენილების №№ 11, 12 და 13 დანართებში, ხორციელდება საზოგადოებრივ საწყისებზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

14. კვირაში სამი ნომრის პერიოდულობით გამომავალი რაიონული გაზეთების რედაქციების იმ მუშაკთა ხელფასის განაკვეთები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ გაზეთების გამოშვებას სახელმწიფო დოტაციის მიუღებლად, გადიდდება 10 პროცენტით.

15. შენარჩუნებულ იქნას რაიონებში ადგილობრივი რადიომაუწყებლობის რედაქციების შექმნისა და მუშაობის არსებული წესი: ადგილობრივი რადიომაუწყებლობის ყოველ რედაქციას ჰყავს ერთი კორესპონდენტ-ორგანიზატორი სრული განაკვეთით (შესაბამისი რაიონული გაზეთის შტატით) და ერთი დიქტორი — ნახევარი განაკვეთით (კავშირგაბმულობის სამინისტროს ხაზით).

16. დაწესდეს, რომ რადიომაუწყებლობა საწარმოებში და მშენებლობებზე, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაიხსნება პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების გადაწყვეტილებით და განხორციელდება, როგორც წესი, საზოგადოებრივ საწყისებზე.

საწარმოებში და მშენებლობებზე, სადაც მუშათა რაოდენობა 3 ათას კაცს აღემატება, შეიძლება შეიქმნას (თუ არსებობს კავშირგაბმულობის სამინისტროს ორგანოების მიერ საექსპლუატაციოდ მიღებული ტექნიკური საშუალებანი) რადიომაუწყებლობის რედაქციები 1-3 შტატის მუშაკის: რედაქტორის, კორესპონდენტის, დიქტორის შემადგენლობით.

აღნიშნულ მუშაკებს ხელფასის განაკვეთები დაუწესდეთ შემდეგი ოდენობით: რედაქტორს — 80 მანეთი, კორესპონდენტს — 70 მანეთი, დიქტორს — 60 მანეთი.

გავრცელდეს საფაბრიკო-საქარხნო რადიომაუწყებლობის რედაქციებზე დაფინანსების წესი, რომელიც მიღებულია მრავალტირაჟიანი გაზეთებისათვის: ხარჯების 10 პროცენტი დაიფარება პროფკავშირთა სახსრებით, 90 პროცენტი — საწარმოთა ანგარიშში.

17. უფლება მიენიჭოთ რესპუბლიკური გაზეთების სარედაქციო კოლეგიებს (რედაქტორებს) გაადიდონ საკუთარ (მოსიარულე) კორესპონდენტთა რაოდენობა ლიტერატურულ თანამშრომელთა რაოდენობის ხარჯზე, ხელფასის იმ ფონდის ფარგლებში, რაც დაწესებულია მუშაკთა ამ კატეგორიისათვის.

18. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საოლქო, გაერთიანებული და რაიონული გაზეთების რედაქციების მუშაკთა ტიპობრივი შტატები და თანამდებობრივი განაკვეთები, რომლებიც დაწესებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

1965 წლის 14 მაისის № 293 დადგენილებით (დანართები №№ 1, 2, 3, 7, 8) და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 21 ოქტომბრის № 607 დადგენილებით (დანართი № 2).

19. დაევალოთ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და ფინანსთა სამინისტროს შეიტანონ რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო გეგმასა და ბიუჯეტში ამ დადგენილებიდან გამომდინარე ცვლილებანი.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ვ. მჭავანაძე.**	საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 19 აპრილი, № 237.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 19 აპრილის № 237
დადგენილების დანართი № 1

გაზეთ „სახალხო განათლების" რედაქციის მუშაკთა შტატები და ხელფასის განაკვეთები

თანამდებობათა დასახელება	ერთეულების რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი (მანეთობ.)
რედაქტორი	1	190
პასუხისმგებელი მდივანი	1	140
განყოფილების გამგე	2	130
განყოფილების გამგე	1	120
საკუთარი (მოსიარულე) კორესპონდენტი	1	110
უფროსი ლიტმუშაკი	1	110
ლიტმუშაკი	2	100
ფოტოკორესპონდენტი (იგივე მხატვარ-რეტუშორი)	1	70
კორექტორი	1	75
ბუღალტერი	1	80
მემანქანე, მდივანი-მემანქანე	1	65
მთარგმნელი-მემანქანე	1	90
მეურნეობის გამგე	1	65
დამლაგებელი-შიკრიკი	1	45
სულ	16	

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 19 აპრილის № 237
დადგენილების დანართი № 2

გაზეთ „ლიტერატურული საქართველოს“ რედაქციის მუშაკთა შტატები და ხელფასის განაკვეთები

თანამდებობათა დასახელება	ერთეულების რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი (მანეთობ.)
რედაქტორი	1	190
პასუხისმგებელი მდივანი	1	140
განყოფილების გამგე	2	130
განყოფილების გამგე	1	120
საკუთარი (მოსიარულე) კორესპონდენტი	1	110
უფროსი ლიტმუშაკი	1	110
ლიტმუშაკი	2	100
ფოტოკორესპონდენტი (იგივე მხატვარ-რეტუშორი)	1	70
კორექტორი	1	75
ბუღალტერი	1	80
მემანქანე, მდივანი-მემანქანე	1	65
მთარგმნელი-მემანქანე	1	90
მეურნეობის გამგე	1	65
დამლაგებელი-შიკრიკი	1	45
შოფერი	1	*)
სულ	17	

*) შოფრის განაკვეთი დაწესდება მოქმედი პირობების თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისადმი
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 19 აპრილის № 237
დადგენილების დანართი № 3

გაზეთ „ლელოს“ რედაქციის მუშაკთა შტატი და ხელფასის განაკვეთები

თანამდებობათა დასახელება	ერთეულების რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი (მანეთობ.)
რედაქტორი	1	210
რედაქტორის მოადგილე	1	160
პასუხისმგებელი მდივანი	1	140
განყოფილების გამგე	4	110
უფროსი ლიტმუშაკი	2	100
ლიტმუშაკი	2	95
უმცროსი ლიტმუშაკი	1	80
საკუთარი (მოსიარულე) კორესპონდენტი	1	95
ფოტოკორესპონდენტი	1	70
მხატვარი-რეტუშორი	1	75
გამომშვები	1	90
წერილების აღმრიცხველი	1	65
მემანქანე	3	65
კორექტორი	2	75
წამკითხველი	1	65
დამლაგებელი-შიკრიკი	1	45
სულ	24	

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 19 აპრილის № 237
დადგენილების დანართი № 4

გაზეთ „ქუთაისის" რედაქციის მუშაკთა შტატები და ხელფასის განაკვეთები

თანამდებობათა დასახელება	ერთეულების რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი (მანეთობ.)
რედაქტორი	1	240
რედაქტორის მოადგილე	2	160
პასუხისმგებელი მდივანი	1	150
პასუხისმგებელი მდივნის მოადგილე	2	115
განყოფილების გამგე	2	125
განყოფილების გამგე	2	120
უფროსი ლიტმუშაკი	2	110
ლიტმუშაკი	4	90
უმცროსი ლიტმუშაკი	2	80
მთარგმნელი	2	90
ფოტოკორესპონდენტი	1	65
მხატვარი-რეტუშორი	1	70
უფროსი კორექტორი	1	80
კორექტორი	2	70
წამკითხველი	2	65
გამომშვები	1	85
წერილების აღმრიცხველი	1	60
ტელეტაიპისტი	1	75
უფროსი მემანქანე	1	70
მემანქანე, მდივანი-მემანქანე	3	65
ბიბლიოთეკარი	1	*)
შოფერი	1	*)
სულ	36	

*) ბიბლიოთეკარისა და შოფრის განაკვეთები დაწესდება მოქმედი პირობების თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 19 აპრილის № 237
დადგენილების დანართი № 5

გაზეთ „კუტაისკაია პრავდის“ რედაქციის მუშაკთა შტატები და ხელფასის განაკვეთები

თანამდებობათა დასახელება	ერთეულების რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი (მანეთობ.)
რედაქტორი	1	150
რედაქტორის მოადგილე	1	130
პასუხისმგებელი მდივანი	1	115
განყოფილების გამგე	2	105
ლიტმუშაკი	2	90
ფოტოკორესპონდენტი (იგივე მხატვარ-რეტუშორი)	1	70
კორექტორი	1	70
ტელეტაიპისტი	1	75
მემანქანე, მდივანი-მემანქანე	1	60
სულ:	11	

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 19 აპრილის № 237
დადგენილების დანართი № 6

გაზეთ „სოციალისტური რუსთავის" რედაქციის მუშაკთა შტატები და ხელფასის განაკვეთები

თანამდებობათა დასახელება	ერთეულების რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი (მანეთობ.)
რედაქტორი	1	180
რედაქტორის მოადგილე	1	155
პასუხისმგებელი მდივანი	1	140
განყოფილების გამგე	3	110
ლიტმუშაკი	4	90
ფოტოკორესპონდენტი (იგივე მხატვარ-რეტუშორი)	1	70
მთარგმნელი (კორექტორი)	1	90
გამომშვები	1	75
კორექტორი	2	70
ვემანქანე, მდივანი-მემანქანე	2	60
ბუღალტერი	1	70
დამლაგებელი-შიკრიკი	1	45
სულ:	19	

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 19 აპრილის № 237
დადგენილების დანართი № 7

გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის" რედაქციის მუშაკთა შტატები და ხელფასის განაკვეთები

თანამდებობათა დასახელება	ერთეულების რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი (მანეთობ.)
რედაქტორი	1	180
რედაქტორის მოადგილე	1	155
პასუხისმგებელი მდივანი	1	140
განყოფილების გამგე	3	110
ლიტმუშაკი	4	90
ფოტოკორესპონდენტი (იგივე მხატვარ-რეტუშორი)	1	70
გამომშვები	1	75
კორექტორი	2	70
მემანქანე, მდივანი-მემანქანე	2	60
ბუღალტერი	1	70
დამლაგებელი-შიკრიკი	1	45
სუ ლ:	18	

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 19 აპრილის № 237
დადგენილების დანართი № 8

გაზეთ „ახალი კოლხეთის“ და „ტყვარჩელის მაღაროელის“ რედაქციების მუშაკთა შტატები და ხელფასის განაკვეთები

თანამდებობათა დასახელება	ერთეულების რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი (მანეთობ.)
რედაქტორი	1	150
რედაქტორის მოადგილე (იგივე განყოფილების გამგე)	1	130
პასუხისმგებელი მდივანი	1	115
განყოფილების გამგე	2	105
ლიტმუშაკი	2	90
ფოტოკორესპონდენტი (იგივე მხატვარ-რეტუშორი)	1	70
კორექტორი	1	70
მემანქანე, მდივანი-მემანქანე	1	60
ბუღალტერი	1	70
დამლაგებელი-შიკრიკი	1	45
სულ:	12	

შენიშვნა: 1. გაზეთ „ახალი კოლხეთის“ რედაქციას თბობის პერიოდში დაემატება მეცეცხლურის ან ცეცხლფარეშის განაკვეთი, რომლის ანაზღაურება იწარმოებს თანახმად მოქმედი დებულებებისა, რომლებიც დაწესებულია ზემდგომი ორგანოების 1964 წლის 15 ივლისის დადგენილებით.

2. გაზეთ „ტყვარჩელის მაღაროელის“ შტატში შეიტანება რადიოკომენტატორის — ადგილობრივი რადიომაუწყებლობის ორგანიზატორის თანამდებობა 90 მან. თვიური განაკვეთით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 19 აპრილის № 237
დადგენილების დანართი № 9

შტატები და განაკვეთები

იმ რაიონული გაზეთების რედაქციების მუშაკებისა, რომლებიც გამოდის ერთ ენაზე, და გაერთიანებული გაზეთ „გამარჯვებისა“ (პარტიის გორის რაიონული და საქალაქო კომიტეტების, გორის მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების ორგანო)

თანამდებობათა დასახელება	ერთეულების რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი (მანეთობ.)
რედაქტორი	1	150
რედაქტორის მოადგილე (იგივე განყოფილების გამგე)	1	130
პასუხისმგებელი მდივანი	1	115
განყოფილების გამგე	2	105
ლიტმუშაკი	2	90
ფოტოკორესპონდენტი (იგივე მხატვარ-რეტუშორი)	1	70
კორექტორი	1	70
მემანქანე, მდივანი-მემანქანე	1	60
ბუღალტერი	1	70
შოფერი	1	—
დამლაგებელი-შიკრიკი	1	45
რადიოკორესპონდენტი — ადგილობრივი რადიომაუწყებლობის ორგანიზატორი	1	90
სულ:	14	

შენიშვნები: 1. გაზეთების რედაქციებს, რომლებიც იმყოფებიან ისეთ სადგომებში, სადაც ცენტრალური გათბობა არ არის, ტიპობრივი შტატების გადამეტებით დაემატებათ თბობის პერიოდისათვის მეცეცხლურის ან ცეცხლფარეშის განაკვეთი, რომლის ანაზღაურება იწარმოებს თანახმად მოქმედი დებულებებისა, რომლებიც დაწესებულია ზემდგომი ორგანოების 1964 წლის 15 ივლისის დადგენილებით.

2. შოფრის განაკვეთი დაწესდება მოქმედი პირობების თანახმად.

3. გაზეთ „გამარჯვების“ რედაქციის შტატში დამატებით შეიტანება ადგილობრივი რადიომაუწყებლობის რადიოკორესპონდენტ-ორგანიზატორის მეორე ერთეული 90 მან. თვიური განაკვეთით.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 19 აპრილის № 237
დადგენილების დანართი № 10

იმ რაიონული გაზეთების რედაქციების მუშაკთა შტატები და ხელფასის განაკვეთები, რომლებიც ორ ენაზე გამოდიან

თანამდებობათა დასახელება	ერთეულების რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი (მანეთობ.)
რედაქტორი	1	150
რედაქტორის მოადგილე	1	130
რედაქტორის მოადგილე (იგივე განყოფილების გამგე)	1	130
პასუხისმგებელი მდივანი	1	115
განყოფილების გამგე	2	105
ლიტმუშაკი	2	90
ფოტოკორესპონდენტი (იგივე მხატვარ-რეტუშორი)	1	70
მთარგმნელ-კორექტორი	1	90
კორექტორი	2	70
მემანქანე, მდივან-მემანქანე	2	60
ბუღალტერი	1	70
შოფერი	1	—
დამლაგებელი-შიკრიკი	1	45
რადიოკორესპონდენტი-ადგილობრივი რადიომაუწყებლობის ორგანიზატორი	1	90
სულ:	18	

შენიშვნები: 1. გაზეთების რედაქციებს, რომლებიც იმყოფებიან ისეთ სადგომებში, სადაც არ არის ცენტრალური გათბობა, ტიპობრივი შტატების გადამეტებით დაემატებათ თბობის პერიოდისათვის მეცეცხლურის ან ცეცხლფარეშის განაკვეთი, რომლის ანაზღაურება იწარმოებს თანახმად მოქმედი დებულებებისა, რომლებიც დაწესებულია ზემდგომი ორგანოების 1965 წლის 15 ივლისის დადგენილებით.

2. შოფრის განაკვეთი დაწესდება მოქმედი პირობების თანახმად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 19 აპრილის № 237
დადგენილების დანართი № 11

მრავალტირაჟიანი გაზეთების: „კომუნიზმისაკენ", „საქართველოს კოოპერატორის" (ცეკავშირი), „მეტალურგის" (რუსთავის მეტალურგიული ქარხანა), „ლენინელის" (ქუთაისის საავტომობილო ქარხანა), „ლენინელის" (საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტი), „ნაში კრილიას" (სამოქალაქო საჰაერო ფლოტი) რედაქციების მუშაკთა შტატები და ხელფასის განაკვეთები

თანამდებობათა დასახელება	ერთეულების რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი (მანეთობ.)
რედაქტორი	1	120
ლიტმუშაკი	2	80
სულ:	3	

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 19 აპრილის № 237
დადგენილების დანართი № 12

მრავალტირაჟიანი გაზეთების: „თბილისის უნივერსიტეტის", „საბჭოთა აგრონომის" (თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი) რედაქციების მუშაკთა შტატები და ხელფასის განაკვეთები

თანამდებობათა დასახელება	ერთეულების რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი (მანეთობ.)
რედაქტორი	1	120
ლიტმუშაკი	1	80
სულ:	2	

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 19 აპრილის № 237
დადგენილების დანართი № 13

მრავალტირაჟიანი გაზეთების: „გორელი ფეიქრის“ (გორის ბამბეულის კომბინატი), „ფოთის ნავსადგურელის“ (ფოთის ნავსადგური), „ენგურის მუშის“ (ენგურის ქაღალდის კომბინატი), „ჩვენი საყვირის“ (თბილისის ორთქლმავალვაგონშემკეთებელი ქარხანა), „კომუნისტური შრომისათვის“ (საწარმოო გაერთიანება „ისანი“) რედაქციების მუშაკთა შტატები და ხელფასის განაკვეთები

თანამდებობათა დასახელება	ერთეულების რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი (მანეთობ.)
რედაქტორი	1	110
ლიტმუშაკი	1	80
სულ:	2	

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 19 აპრილის № 237
დადგენილების დანართი № 14

მრავალტირაჟიანი გაზეთების — „მედიცინის მუშაკის“ (თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი), „გაზაფხულის“ (თბილისის პიონერთა სასახლე) რედაქციების მუშაკთა შტატები და ხელფასის განაკვეთები

თანამდებობათა დასახელება	ერთეულების რაოდენობა	თანამდებობრივი განაკვეთი (მანეთობ.)
რედაქტორი	1	110

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 19 აპრილის № 237
დადგენილების დანართი № 15

საავტორო ჰონორარის ოდენობა

რესპუბლიკური საუწყებო და დარგობრივი, საქალაქო, რაიონული და გაერთიანებული გაზეთებისათვის

I. საუწყებო და დარგობრივი გაზეთები:

(ნომერზე მანეთობ.)

1. „სახალხო განათლება" 300
2. „ლიტერატურული საქართველო" 400
3. „ლელო" 110

II. საქალაქო, რაიონული და გაერთიანებული გაზეთები:

1. „ქუთაისი" 100
2. „სოციალისტური რუსთავი"
   „კუტაისკაია პრავდა"
   „ჭიათურის მაღაროელი"
   „ახალი კოლხეთი"
   „ტყვარჩელის მაღაროელი" } 20
3. რაიონული გაზეთები, გაერთიანებული გაზეთი „გამარჯვება" (გორი) 20

25 მრეწველობის მართვის გარდაქმნასთან დაკავშირებით რესპუბლიკის სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლის შესახებ

მრეწველობაში სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის გაუმჯობესების და შემდგომი გაშლის, მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის ამაღლების მიზნით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს 1966 წლის 22 იანვრის № 52 დადგენილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო და საქართველოს პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმი ადგენენ:

1. მიღებულ იქნას სამინისტროების, უწყებების და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების წინადადება რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების მოწყობის შესახებ.

სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების სოციალისტური შეჯიბრება წარიმართოს ისეთ ღონისძიებათა განხორციელებისაკენ, როგორიცაა: საწარმოო გეგმების შესრულება, ახალი ტექნიკის დანერგვა, შრომის ნაყოფიერების ამაღლება, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება, დაგროვებათა გადიდება, მოწინავე საწარმოო გამოცდილების ყოველმხრივ გავრცელება, წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, საწარმოო ფონდების უკეთ გამოყენება, ფულადი სახსრების, მატერიალური და შრომითი რესურსების დამზოგველობა და მომჭირნეობა, სამეურნეო ხელშეკრულებათა მტკიცედ დაცვის უზრუნველყოფა და შეკვეთების შესრულება.

2. დაწესდეს რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოთა რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული კოლექტივებისათვის საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, სამინისტროებისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების გარდამავალი წითელი დროშები პირველი, მეორე და მესამე ფულადი პრემიებით, დანართის თანახმად.

სოციალისტურ შეჯიბრებაში გამარჯვებული საწარმოებისათვის ფულადი პრემიების მიცემა მოხდეს მუშაკთა რაოდენობის მიხედვით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს შრომისა და ხელფასის საკითხთა სახელმწიფო კომიტეტის და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პრეზიდიუმის 1966 წლის 6 იანვრის № 38 დადგენილების მე-3 პუნქტით დამტკიცებული სკალების კვალობაზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების მინიჭებისას პრემიის ოდენობა საწარმოს გაუდიდდება 25 პროცენტით პრემიის იმ თანხასთან შედარებით, რაც დაწესებულია სამინისტროს და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის მინიჭების დროს.

3. დადგენილ იქნას რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამების შემდეგი წესი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— **რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში** — სამინისტროებისა და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშის, მეორე და მესამე ფულადი პრემიების მინიჭება წარმოებს საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტროს კოლეგიის და კომუნალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოების მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის პრეზიდიუმის ერთობლივი გადაწყვეტილებით, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშის მინიჭება წარმოებს სამინისტროს და პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის წარდგენით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი დადგენილებით;

— **საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში** — სამინისტროსა და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების გარდამავალი წითელი დროშების, მეორე და მესამე ფულადი პრემიების მინიჭება წარმოებს სამინისტროების კოლეგიებისა და პროფკავშირთა შესაბამისი რესპუბლიკური კომიტეტების პრეზიდიუმების ერთობლივი გადაწყვეტილებებით, ხოლო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების მინიჭება წარმოებს სამინისტროებისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების წარდგენით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი დადგენილებით;

— **საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების საწარმოებში, რომლებსაც აერთიანებენ რესპუბლიკის სამმართველოები, ტრესტები და უწყებები** — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშების, მეორე და მესამე ფულადი პრემიების მინიჭება წარმოებს სამმართველოების, ტრესტების, უწყებებისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების წარდგენით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმის ერთობლივი დადგენილებით.

საწარმოთა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების შედეგების მიხედვით გარდამავალი წითელი დროშებისა და ფულადი პრემიების მინიჭება, გარდა სეზონური დარგებისა, მოხდეს ყოველი კვარტალის მუშაობის შედეგების მიხედვით.

4. დაევალოთ დანართში აღნიშნულ სამინისტროებს, უწყებებს და პროფკავშირთა შესაბამის რესპუბლიკურ კომიტეტებს 10 დღის ვადაში შეიმუშაონ და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმს წარმოუდგინონ დასამტკიცებლად რესპუბლიკური და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების სამრეწველო საწარმოთა კოლექტივების რესპუბლიკური სოციალისტური შეჯიბრების პირობები, აგრეთვე შეიმუშაონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და დაამტკიცონ ერთობლივ სხდომებზე წამყვანი პროფესიების მუშათა ... რების პირობები მრეწველობის დარგების მიხედვით, მათ წინაშე დასახული კონკრეტული ამოცანების საფუძველზე.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**	საქართველოს პროფსაბჭოს თავმჯდომარე **შ. კიკნაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 19 მარტი, № 160.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
და საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმის
1966 წლის 19 მარტის № 160
დადგენილების დანართი

რ ა ო დ ე ნ ო ბ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს, სამინისტროებისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების გარდამავალი წითელი დროშებისა, მეორე და მესამე ფულადი პრემიებისა სამრეწველო საწარმოთა იმ კოლექტივების წასახალისებლად, რომლებიც რესპუბლიკურ სოცშეჯიბრებაში გაიმარჯვებენ

სამინისტროებისა და უწყებების დასახელება	რაოდენობა საქ. სსრ მინისტრთა საბჭოს და საქართველოს პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშებისა ერთი ფულადი პრემიით	რაოდენობა სამინისტროების და პროფკავშირთა რესპუბლიკური კომიტეტების გარდამავალი წითელი დროშებისა ერთი ფულადი პრემიით	რაოდენობა მეორე ფულადი პრემიებისა	რაოდენობა მესამე ფულადი პრემიებისა	ჯამი
საქართველოს სსრ ადგილობრივი მრეწველობის სამინისტრო	1	2	2	2	7
საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო	2	4	3	3	12
საქართველოს სსრ ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდის და ხისდამმუშავებელი მრეწველობის სამინისტრო	1	2	1	1	5
საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტრო	1	3	2	2	8
საქართველოს სსრ კვების მრეწველობის სამინისტრო	3	6	7	5	21
საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო	1	2	2	2	7
კომბინატი „საქქვანახშირი“	1	—	3	3	7
ჭიათურის მარგანეცის ტრესტი . .	1	—	2	2	5
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ქიმიური მრეწველობის სამმართველო	1	—	2	2	5
ტრესტი „საქნავთობი“	1	—	2	1	4

26 საქართველოს სსრ ქალაქებში რეკონსტრუქციასთან და ახალი ობიექტების მშენებლობასთან დაკავშირებით საცხოვრებელი სახლების აღების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ რესპუბლიკაში საცხოვრებელი ფონდის კლება, რაც დაკავშირებულია ქალაქების რეკონსტრუქციასთან და ძველი საცხოვრებელი სახლების აღებასთან, ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი მოცულობისაა. 1961-1964 წლებში იმ მიზეზით აღებულია 107.029 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართობი, რაც შეადგენს საბინაო მშენებლობის გეგმის 4,7 პროცენტს, აქედან 64.944 კვ. მეტრი, ანუ 2,8 პროცენტი აღებულია საცხოვრებელი სახლების სიძველის გამო და 37.080 კვ. მეტრი, ანუ 1,7 პროცენტი — ქალაქთა რეკონსტრუქციასთან დაკავშირებით.

იმ მიზნით, რომ დამყარდეს წესრიგი საცხოვრებელი ფონდის აღების საქმეში და მაქსიმალურად შემცირდეს მისი კლება ქალაქების რეკონსტრუქციასთან, საცხოვრებელი ობიექტების მშენებლობასთან და საცხოვრებელი სახლების სიძველის გამო აღებასთან დაკავშირებით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებს:

ა) აკრძალონ საცხოვრებელი სახლების დაუსაბუთებლად აღება;

ბ) დაადგინონ წესი, რომლის დროსაც ასაღებ სახლებზე შედგება აქტები კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობისა და გაცვეთის ოდენობის აღნიშვნით. სახლების აღების შესახებ შედგენილი აქტები უნდა დაამტკიცონ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოების აღმასკომებმა, ხოლო რაიონების დაქვემდებარების ქალაქებში — მშრომელთა დეპუტატების რაიონული საბჭოების აღმასკომებმა;

გ) უფრო გულდასმით მიუდგნენ მოედნების შერჩევას იმ საწარმოებისათვის, რომლებიც ახლად შენდება ან ფართოვდება, და მათთვის ტერიტორიები გამოყონ მხოლოდ ყოველმხრივ ტექნიკურ-ეკონომიურ გაანგარიშებათა და დასაბუთებათა საფუძველზე, რომლებიც უზრუნველყოფენ ახალი სამრეწველო და საბინაო მშენებლობის ობიექტების რაციონალურად განლაგებას და არსებული საცხოვრებელი ფონდის მაქსიმალურად შენარჩუნებას.

2. დაევალოთ საპროექტო ინსტიტუტებს — საქქალაქმშენპროექტს და თბილქალაქპროექტს, ქალაქთა გენერალური გეგმების, დეტალური დაგეგმვისა და განაშენიანების პროექტების შემუშავებისას, გულდასმით გამოიკვლიონ საცხოვრებელი ფონდის მდგომარეობა ქალაქებში, ამასთან გამოიყენონ ადგილზე არსებული მთელი მასალები და საპროექტო მასალებთან ერთად წარმოადგინონ მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომთან შეთანხმებული სიები იმ სახლებისა, რომლებიც აღებულ უნდა იქნან, მიზეზების დასაბუთებით.

3. დაევალოს საქართველოს სსრ სახმშენს სისტემატურად შეამოწმოს სახელმწიფო არქიტექტურულ-სამშენებლო კონტროლის ორგანოების მეშვეობით

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცხოვრებელი ფონდის აღება ქალაქებსა და დაბებში, ამასთან არ დაუშვებია ი-
თი საცხოვრებელი სახლების ლიკვიდაცია ძველი და ავარიული შენობების აღ-
ების საბაბით, რომლებიც გამოსადეგია ექსპლუატაციისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 1 მარტი, № 120.

27 იმ ქალებისათვის საავადმყოფო ფურცლებისა და დახმარების მიცემის შესახებ, რომლებმაც ახალშობილი ბავშვები იშვილეს

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 10 თებერვლის № 127 დადგენილებისა „იმ ქალებისათვის საავადმყოფო ფურცლებისა და დახმარების მიცემის შესახებ, რომლებმაც ახალშობილი ბავშვები იშვილეს“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიეცეთ ქალებს, რომლებმაც ახალშობილი ბავშვები იშვილეს უშუალოდ სამშობიარო სახლიდან, საავადმყოფო ფურცლები, ამასთან მიეცეთ მათ დადგენილი წესით მშობიარობის დახმარება შვილად აყვანის დღიდან იმ დრომდე, ვიდრე 56 დღე გავიდოდეს ბავშვის დაბადებიდან.

აღნიშნულ შემთხვევებში, მშობიარობის დახმარება მიეცემათ მუშა და მოსამსახურე ქალებს — სახელმწიფო სოციალური დაზღვევის სახსრებიდან, ხოლო კოლმეურნეობათა წევრ ქალებს — კოლმეურნეთა სოციალური დაზღვევის ცენტრალიზებული საკავშირო ფონდის სახსრებიდან.

2. გავრცელდეს იმ მუშა და მოსამსახურე ქალებზე, რომლებმაც ბავშვები იშვილეს უშუალოდ სამშობიარო სახლიდან, მოქმედება საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1956 წლის 25 დეკემბრის № 741 დადგენილებისა (პუნქტი 13) უხელფასო დამატებითი შვებულების მიცემის, აგრეთვე მუშაობის შეწყვეტის შემთხვევაში განუწყვეტელი შრომის სტაჟის შენარჩუნების წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 4 მარტი, № 124.

28 საქართველოს სსრ ადვოკატთა შრომის ანაზღაურების დებულებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 8 ოქტომბრის № 581 დადგენილებით დამტკიცებულ საქართველოს სსრ ადვოკატთა შრომის ანაზღაურების დებულებაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებანი და დამატებანი:

1. საქართველოს სსრ ადვოკატთა შრომის ანაზღაურების დებულების მესამე პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) იმ თანხიდან, რაც ადვოკატთა შრომის ანაზღაურების თვიურ ოდენობას აღემატება, ადვოკატს დაერიცხება 50 პროცენტი (ადვოკატს, რომელმაც იურიდიული მომსახურება გაუწია საწარმოს, დაწესებულებას, საბჭოთა მეურნეობას, კოლმეურნეობას და სხვა ორგანიზაციას, დარიცხვა გაუდიდდება 70 პროცენტამდე)“.

2. დებულების მესამე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტიდან ამოღებულ იქნეს სიტყვები: „იმ შემთხვევაში, როდესაც დარიცხული თვიური გასამრჯელო 75 მანეთზე ნაკლები აღმოჩნდება, ადვოკატთა კოლეგიის პრეზიდიუმი საპატიო მიზეზის არსებობისას ადვოკატს აძლევს დამატებას იმ ანგარიშით, რომ ადვოკატის გასამრჯელომ შეადგინოს 75 მანეთი თვეში“.

3. ამოღებულ იქნეს დებულების მე-7 პუნქტი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი. 1966 წ. 9 მარტი, № 136.

29 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, სამრეწველო გადამუშავების და რეალიზაციის მთავარი სამმართველოს — „საქმთავარკონსერვხილბოსტანის“ დაქვემდებარებულობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

მიღებულ იქნას სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს წინადადება და დაწესდეს, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ხილის, ციტრუსოვანი ნაყოფის, ბოსტნეულისა და კარტოფილის დამზადების, სამრეწველო გადამუშავების და რეალიზაციის მთავარი სამმართველო „საქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მთავარკონსერვხილბოსტანი“ იმავდროულად ემორჩილება სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს და წარმოადგენს საკავშირო-რესპუბლიკურ ორგანოს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 9 მარტი, № 138.

30 საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დამტკიცდეს თანდართული დებულება საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 11 მარტი, № 145.

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 11 მარტის № 145
დადგენილებით

დებულება

საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს შესახებ

1. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო არის რესპუბლიკური სამინისტრო და უშუალოდ ემორჩილება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

2. თავის საქმიანობაში საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო ხელმძღვანელობს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებით, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებითა და განკარგულებებით, აგრეთვე ამ დებულებით.

3. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ძირითადი ამოცანებია:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა) საიჯარო სამუშაოთა განხორციელება კოლმეურნეობებში, საბჭოთა მეურნეობებში და სხვა ორგანიზაციების ობიექტებზე სოფლად;

ბ) საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების საწარმოო საქმიანობის ხელმძღვანელობა და მათთვის დახმარების გაწევა სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა გეგმის შესრულებაში ისე, რომ შენარჩუნებულ იქნას ამ ორგანიზაციების საორგანიზაციო და საფინანსო დამოუკიდებლობა; ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელება საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციათა საბჭოების მეშვეობით; საიჯარო სამუშაოთა ხვედრითი წონის მაქსიმალურად გადიდების სტიმულირება საკოლმეურნეო მშენებლობის საერთო მოცულობაში.

4. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო მასზე დაკისრებული ამოცანების შესაბამისად:

ა) შეიმუშავებს საიჯარო სამშენებლო სამუშაოების, სამრეწველო პროდუქციის გამოშვების, საკუთარი ბაზების განვითარების, კაპიტალური დაბანდებების, შრომის, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ღირებულების და სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, მშენებლობაში მეცნიერებისა და ტექნიკის დანერგვის გეგმების პროექტებს და დადგენილი წესით წარადგენს მათ დასამტკიცებლად;

ბ) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომელთა მიზანია მშენებლობის ტექნიკური დონის ამაღლება, დაგეგმვის მოწინავე მეთოდების, კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის, ახალი, უფრო ეფექტიანი მასალების, კონსტრუქციებისა და ნაკეთობების, აგრეთვე სამშენებლო მანქანებისა და მოწყობილობის გამოყენების პროგრესული ნორმების დანერგვა;

გ) საიჯარო სამუშაოთა გეგმისა და საწარმოო სიმძლავრეთა, საცხოვრებელი ფართობის და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების საექსპლუატაციოდ გადაცემის დავალებათა შესრულების უზრუნველსაყოფად გამოავლენს მოთხოვნილებას მატერიალურ რესურსებზე, განაზოგადებს განაცხადებს ნედლეულსა, მასალებსა და მოწყობილობაზე და წარუდგენს მათ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს;

დ) შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მშენებლობის ღირებულების და სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, შრომის ნაყოფიერების გადიდების, მშენებლობის ხარისხის ამაღლებისა და მისი ვადების შემცირების გეგმის შესრულებას, აგრეთვე უზრუნველყოფს სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას;

ე) სახელმწიფო სამუშაოთა გეგმის შესრულების უზრუნველსაყოფად მოაწყობს სამშენებლო და სამრეწველო ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებას.

5. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო:

ა) ხელმძღვანელობას გაუწევს მშენებლობის შესახებ საიჯარო ხელშეკრულებათა დადებას და განახორციელებს კონტროლს ამ ხელშეკრულებათა შესრულებისადმი;

ბ) განიხილავს და დაამტკიცებს საკუთარი მშენებლობის ობიექტების პროექტებს დადგენილი წესების თანახმად;

ეროვნული ბიბლიოთეკა

გ) გაანაწილებს და გადაანაწილებს მატერიალურ-ტექნიკური რესურსებისა გამოყოფილ ფონდებს საქვეუწყებო სახელმწიფო და საკოლმეურნეობათაშორისო ორგანიზაციებსა და საწარმოებს შორის;

დ) გადასცემს საჭიროების შემთხვევაში მოწყობილობას, სატრანსპორტო და სხვა ძირითად საშუალებებს ერთი საწარმოდან მეორე საწარმოს სამინისტროს სისტემის შიგნით;

ე) განახორციელებს ხელმძღვანელი და ინჟინერ-ტექნიკური კადრების შერჩევასა და განაწილებას, რეკომენდაციას მისცემს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციებს ხელმძღვანელ მუშაკთა მიღების, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის და თანამდებობიდან გადაყენების შესახებ; შეიმუშავებს და განახორციელებს ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ სამშენებლო ორგანიზაციებისა და სამრეწველო საწარმოების დაკომპლექტებას კადრებით, მათი კვალიფიკაციის ამაღლებას და მათთვის საჭირო საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების შექმნას;

ვ) შექმნის, გარდაქმნის და გააუქმებს სამინისტროს სისტემის სამშენებლო, სამრეწველო სატრანსპორტო და სხვა ორგანიზაციებს, დაამტკიცებს სამინისტროს ცენტრალური აპარატის განყოფილებებისა და სამეურნეო ორგანიზაციების დებულებებსა და წესდებებს;

ზ) განახორციელებს პროფკავშირული ორგანიზაციების მონაწილეობით სამინისტროს ორგანიზაციებში შრომის დისციპლინის განმტკიცების, შრომის დაცვის, უსაფრთხობის ტექნიკისა და საწარმოო სანიტარიის დაცვის გაუმჯობესების ღონისძიებებს;

თ) ხელმძღვანელობას გაუწევს სამშენებლო ორგანიზაციებისა და საწარმოების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობას, განახორციელებს სამეურნეო ანგარიშის განმტკიცების, რენტაბელობის ამაღლების, დაგროვებათა გადიდების, ძირითადი და საბრუნავი სახსრების სწორად და ეფექტიანად გამოყენების ღონისძიებებს, აგრეთვე განახორციელებს საფინანსო კონტროლს და ჩაატარებს საქვეუწყებო ორგანიზაციებისა და საწარმოების სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის დოკუმენტურ რევიზიებს;

ი) ხელმძღვანელობას გაუწევს სამინისტროს ორგანიზაციებში საბუღალტრო და სტატისტიკური აღრიცხვისა და ანგარიშგების დაყენებას და მოწყობას; გადაანაწილებს კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობას სამინისტროს საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის;

კ) საწარმოებსა და ორგანიზაციებს შორის შრომის წლიური გეგმის განაწილებისას თავის განკარგულებაში დაიტოვებს მუშაკთა რაოდენობისა და ხელფასის ფონდის რეზერვს;

ლ) შეასრულებს სამინისტროს საქმიანობასთან დაკავშირებულ ყოველგვარ საკრედიტო ოპერაციებს, გახსნის და დახურავს საანგარიშსწორებო და სხვა ანგარიშებს.

6. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს სათავეში უდგას მინისტრი, რომელიც:

ა) ხელმძღვანელობს სამინისტროსა და მისდამი დაქვემდებარებული საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მთელ საქმიანობას;

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბ) უზრუნველყოფს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებისა, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს იმ დადგენილებათა და განკარგულებათა შესრულებას, რომლებიც შეეხება სამინისტროს საქმიანობის საკითხებს, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დასამტკიცებლად წარადგენს კანონების, დადგენილებებისა და განკარგულებების პროექტებს სასოფლო მშენებლობის საკითხებზე;

გ) გამოსცემს სამინისტროს კომპეტენციის ფარგლებში ბრძანებებსა და ინსტრუქციებს სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონების, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებათა და განკარგულებათა საფუძველზე და მათ შესასრულებლად, ამასთან შეამოწმებს მათს შესრულებას;

დ) დანიშნავს და თანამდებობიდან გაათავისუფლებს სამინისტროს აპარატის მუშაკებს და მისდამი დაქვემდებარებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელ მუშაკებს;

ე) გააუქმებს სამინისტროსადმი უშუალოდ დაქვემდებარებულ საწარმოთა, დაწესებულებათა და ორგანიზაციათა ხელმძღვანელების ბრძანებებს იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ შესაბამებიან სსრ კავშირის და საქართველოს სსრ კანონებს, სსრ კავშირის და საქართველოს სსრ მთავრობათა დადგენილებებს, საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროს ბრძანებებსა და ინსტრუქციებს.

7. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროში შეიქმნება კოლეგია შემდეგი შემადგენლობით: მინისტრი (კოლეგიის თავმჯდომარე), მინისტრის მოადგილეები და სამინისტროს ხელმძღვანელი მუშაკები.

კოლეგია თავის სხდომებზე განიხილავს და დასახავს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებათა შესრულების პრაქტიკულ ღონისძიებებს, მოისმენს ანგარიშებს სამინისტროს ცენტრალური აპარატის განყოფილებების და სამინისტროს ორგანიზაციების მუშაობის შესახებ, განიხილავს თავისი საწარმოებისა და ორგანიზაციების, აგრეთვე საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების საფინანსო-სამეურნეო საქმიანობის შედეგებს და მიიღებს გადაწყვეტილებებს, რომლებიც უზრუნველყოფენ მოგებისა და საბიუჯეტო გადასახდელთა გეგმების შესრულებას, განიხილავს კონტროლისა და შესრულების შემოწმების, კადრების შერჩევისა და განაწილების საკითხებს, მისცემს რეკომენდაციებს საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო ორგანიზაციების მუშაკთა პასუხსაგებ თანამდებობაზე მიღების, ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანის და თანამდებობებიდან გადაყენების შესახებ, განიხილავს ორგანიზაციულ-ტექნიკურ ღონისძიებათა გეგმებს, წარმოებაში ახალი ტექნიკისა და შრომის მოწინავე მეთოდების დანერგვის, სამშენებლო ორგანიზაციებისა და საწარმოების შტატების და მათი მუშაკების თანამდებობრივი განაკვეთების დამტკიცების, აგრეთვე სამინისტროს ორგანიზაციათა შექმნის, ლიკვიდაციისა და რეორგანიზაციის საკითხებს, სოციალისტური შეჯიბრების შედეგებს და სამინისტროს კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხებს.

კოლეგიის გადაწყვეტილება ცხოვრებაში გატარდება მინისტრის ბრძანებით. მინისტრსა და კოლეგიის წევრებს შორის უთანხმოების შემთხვევაში მი-

ნისტრი განახორციელებს თავის გადაწყვეტილებას და წამოჭრილ უთანხმოებათა შესახებ მოახსენებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს, კოლეგიის წევრებს კი თავის მხრივ შეუძლიათ აპელაციით მიმართონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

8. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტროსთან შეიქმნება ტექნიკური საბჭო, რომლის შემადგენლობაში შევლენ სამინისტროს ცენტრალური აპარატის წამყვანი სპეციალისტები და სამინისტროს ორგანიზაციათა სპეციალისტები.

ტექნიკური საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას და მის დებულებას დაამტკიცებს მინისტრი.

9. ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და წარმოების, ექსპლუატაციისა და მშენებლობის ნოვატორთა მოწინავე გამოცდილების რაც შეიძლება უკეთ გამოყენების მიზნით, სამინისტრო დადგენილი წესით მოიწვევს აქტივის თათბირებს, რომლებზედაც მოისმენენ მოხსენებებს პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმძღვანელო მითითებათა შესახებ, აგრეთვე განიხილავენ სამინისტროს და მისი ორგანიზაციების სამეურნეო და საფინანსო საქმიანობის საკითხებს.

10. სამინისტროს სტრუქტურას და შტატებს დაამტკიცებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

11. საქართველოს სსრ სასოფლო მშენებლობის სამინისტრო არის იურიდიული პირი და მას აქვს ბეჭედი, რომელზედაც გამოსახულია საქართველოს სსრ გერბი და თავისი სახელწოდება.

31 „საქმთავარკონსერვხილბოსტანის“ რაიონული დამზადების კანტორების შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 10 თებერვლის № 76 დადგენილების ნაწილობრივ შესაცვლელად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას „საქმთავარკონსერვხილბოსტანის“ მთავარ სამმართველოს წინადადება და შეიქმნას „საქხილბოსტანის“ სამმართველოს დაქვემდებარებაში დამოუკიდებელ სამეურნეო ანგარიშზე, დმანისის, ბორჯომის, თიანეთის, ჩოხატაურის, ჭიათურის, მაიაკოვსკის, ადიგენის, ასპინძის, ზესტაფონის, ორჯონიკიძისა და თერჯოლის რაიონული დამზადების კანტორები, „საქმთავარკონსერვხილბოსტანის“ მთავარ სამმართველოსათვის დამტკიცებული ადმინისტრაციული პერსონალისა და თვიური ხელფასის ფონდის ფარგლებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

2. დამტკიცდეს „საქხილბოსტანის“ სამმართველოსადმი დაქვემდებარებული რესპუბლიკური, სარაიონთაშორისო და რაიონული დამზადების კანტორების ნუსხა დანართის თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 11 მარტი, № 146.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 11 მარტის № 146
დადგენილების დანართი

ნ უ ს ხ ა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული „საქმთავარკონსერვხილბოსტანის“ მთავარ სამმართველოს ხილის, ციტრუსოვანთა ნაყოფის, ბოსტნეულის და კარტოფილის დამზადებისა და საბითუმო რეალიზაციის სამმართველოს „საქხილბოსტანის“ სისტემის დამამზადებელი ორგანიზაციებისა:

1. აფხაზეთის რესპუბლიკური სამმართველო „აფხაზხილბოსტანი“
2. აჭარის „ „ „აჭარხილბოსტანი“
3. სამხრეთ ოსეთის საოლქო სამმართველო „სამხრეთოსეთხილბოსტანი“

სარაიონთაშორისო დამზადების კანტორები

4. ამბროლაურის — მომსახურეობას გაუწევს ონის რაიონს;
5. ახალქალაქის — „ „ ბოგდანოვკის რაიონს;
6. გეგეჭკორის — „ „ აბაშის რაიონს;
7. ზუგდიდის — „ „ წალენჯიხისა და მესტიის რაიონებს;
8. ცაგერის — „ „ ლენტეხის რაიონს;
9. ცხაკაიას — „ „ ჩხოროწყუს რაიონს;
10. წნორის — „ „ სიღნაღის და წითელწყაროს რაიონებს;

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონული დამზადების კანტორები

11. ადიგენის
12. ასპინძის
13. ახალციხის
14. ახმეტის
15. ბოლნისის
16. ბორჯომის
17. გარდაბნის
18. გორის
19. გურჯაანის
20. დმანისის
21. დუშეთის
22. ვანის
23. თეთრიწყაროს
24. თელავის
25. თიანეთის
26. კასპის
27. ლაგოდეხის
28. ლანჩხუთის
29. მაიაკოვსკის
30. მარნეულის
31. მახარაძის
32. მცხეთის
33. ორჯონიკიძის
34. საგარეჯოს
35. სამტრედიის
36. საჩხერის
37. ტყიბულის
38. ქარელის
39. ყვარლის
40. ჩოხატაურის
41. წულუკიძის
42. წყალტუბოს
43. ჭიათურის
44. ხაშურის
45. ზესტაფონის
46. თერჯოლის
47. წალკის

32 „საქართველოს სს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშობრივი დარაიონების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 22 აპრილის 228 დადგენილებაში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დამტკიცდეს ცვლილებანი და დამატებანი საქართველოს სსრ ადმინისტრაციული რაიონების განაწილებაში სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშობრივი დარაიონების ზონების მიხედვით, რომელიც დამტკიცებულია საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 22 აპრილის № 228 დადგენილებით, №№ 1 და 2 დანართების თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 18 მარტი, № 155.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 18 მარტის № 155
დადგენილების დანართი № 1

ცვლილებანი და დამატებანი

განაყოფში „საქართველოს სსრ ზონები და ადმინისტრაციული რაიონების განაწილება ზონების მიხედვით სასოფლო-სამეურნეო კულტურების ჯიშობრივი დარაიონებისათვის რაიონების დაწვრილერთეულების შემდეგ 1966 წლისათვის“

I ზონა — ზღვისპირა სუბტროპიკული ტენიანი და ჭარბტენიანი: ბათუმის, გაგრის, გალის, გუდაუთის, გულრიფშის, ზუგდიდის, ქობულეთის, ლანჩხუთის, მახარაძის, ოჩამჩირის, სოხუმის, ხობის და ჩოხატაურის რაიონების დაბლობის ნაწილი

VI ზონა — მესხეთის მთაგორიანი: ადიგენის, ასპინძის და ახალციხის რაიონების დაბლობი ნაწილი

VII ზონა — ჯავახეთის მთაგორიანი: მთაგორიანი პლატო (ახალქალაქის) ასპინძის, ახალქალაქისა და ბოგდანოვკის რაიონების ფარგლებში

VIII ზონა — სამხრეთ ოსეთის და ქართლის ურწყავი: ზნაურის, ლენინგორისა და ცხინვალის რაიონების ურწყავი ნაწილი და მათი მიმდებარე გორის, ქარელის, კასპისა და ხაშურის რაიონების მთისწინა ურწყავი ნაწილი

IX ზონა — ქართლის სარწყავი: გორის, დუშეთის, ქარელის, კასპის, მცხეთის, ხაშურის რაიონების სარწყავი ნაწილი და ზნაურის ლენინგორის და ცხინვალის რაიონების დაბლობი სარწყავი ნაწილი

XX ზონა — სამხრეთ ოსეთის მთაგორიანი: ჯავის, ზნაურის, ლენინგორისა და ცხინვალის რაიონების მთაგორიანი ნაწილი

XXI ზონა — რაჭა-ლეჩხუმის, სვანეთისა და აფხაზეთის მთაგორიანი: გაგრის, გუდაუთის, ლენტეხის, მესტიის, ონის, ოჩამჩირის და სოხუმის რაიონების მთაგორიანი ნაწილი

XXII ზონა — აჭარა-გურიის მთაგორიანი: ქედის, მახარაძის, ხულოს, ჩოხატაურისა და შუახევის რაიონების მთაგორიანი ნაწილი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 18 მარტის № 155
დადგენილების დანართი № 2

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვლილებანი და დამატებანი

განაყოფში „ჯიშობრივი დარაიონება კულტურების მიხედვით“

საშემოდგომო ხორბალი

1. ჯიში თავთუხი 19/28 — მოიხსნას დარაიონებიდან XI ზონაში — თრიალეთის მთისწინა ურწყავი.

2. ჯიში თავთუხი ადგილობრივი — მოიხსნას დარაიონებიდან XXVIII ზონაში — მდინარე ალაზნის მარჯვენა ნაპირის ურწყავი ნაწილი.

სიმინდი

ჯიში ადგილობრივი თეთრი ნახევარკბილა — მოიხსნას დარაიონებიდან XXVII ზონაში — ალაზნისმიღმა ტენიანი.

ლობიო

ჯიში ჩიტისკვერცხა ადგილობრივი — მოიხსნას დარაიონებიდან VI ზონაში — მესხეთის მთაგორიანი.

სოია სამარცვლე

ჯიში ადრეული 6 — დარაიონდეს X ზონაში — ქვემო ქართლის სარწყავი.

სოია სიმინდით სახილოსე

ჯიში იმერული ადგილობრივი — დარაიონდეს II ზონაში — სუბტროპიკული ტენიანი.

ბარდა საკვები

ჯიში ახალქალაქის ადგილობრივი — დარაიონდეს VIII ზონაში—სამხრეთ ოსეთის და ქართლის ურწყავი.

ბარდა საჭმელი

ჯიში ახალქალაქის ადგილობრივი — დარაიონდეს VIII ზონაში—სამხრეთ VIII ზონაში — სამხრეთ ოსეთის და ქართლის ურწყავი და XI ზონაში — თრიალეთის მთისწინა ურწყავი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამბაქო

ჯიში მიჩურინული 965 — მოიხსნას დარაიონებიდან აფხაზეთის ასსრ რესპუბლიკაში

სამყურა

დარაიონების ტექსტის დაზუსტების წესით: ამოღებულ იქნას ფორმულირება „დანარჩენი მთაგორიანი და მთისწინა რაიონებისათვის წითელი ორსათიბი“. გავრცელდეს ჯიში ნემერჩანსკი 1-ის დარაიონება სამყურას მოყვანის დანარჩენ მთაგორიან და მთისწინა რაიონებზე.

ყვავილოვანი კომბოსტო

ჯიშები სნეჟინკა და მოსკოვური საკონსერვო — გავრცელდეს დარაიონება III ზონაზე — ქვემო იმერეთის.

სალათა

ჯიში ლედიანაია გორა — დარაიონდეს III ზონაში — ქვემო იმერეთის, VI ზონაში — მესხეთის მთაგორიანი, IX ზონაში — ქართლის სარწყავი (ხაშურის რაიონისათვის) და XX ზონაში — სამხრეთ ოსეთის მთაგორიანი საგაზაფხულო თესვისათვის, აგრეთვე I ზონაში — ზღვისპირა სუბტროპიკული ტენიანი და ჭარბტენიანი (გარდა ხობის და ზუგდიდის რაიონებისა) — საშემოდგომო თესვისათვის.

ისპანახი

1. ჯიში ვიქტორია — გავრცელდეს დარაიონება IX ზონაზე — ქართლის სარწყავი (მცხეთისა და ხაშურის რაიონებისათვის) საგაზაფხულო თესვისას, IX (მცხეთის რაიონისათვის) და XVI ალაზნის სარწყავ ზონებზე ზაფხულ-შემოდგომის და ზამთრისპირა თესვის დროს.

2. ჯიში ვიროფლე — გავრცელდეს დარაიონება XX ზონაზე — სამხრეთ ოსეთის მთაგორიანი საგაზაფხულო თესვისათვის და III ზონაზე — ქვემო იმერეთის ზაფხულ-შემოდგომის თესვისათვის.

3. ჯიში გოდრი — დარაიონდეს X ზონაში — ქვემო ქართლის სარწყავი საგაზაფხულო თესვისათვის; I ზონაში — ზღვისპირა სუბტროპიკული ტენიანი და ჭარბტენიანი (გარდა ზუგდიდის და ხობის რაიონებისა) და X ზონაში ზაფხულ-შემოდგომის თესვისათვის, აგრეთვე X ზონაში ზამთრისპირა თესვისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პამიდორი

1. ჰიბრიდი სასალათე (F,) — დარაიონდეს VI ზონაში — მესხეთის მთაგორიანი.

2. ჯიში მოლდავური საადრეო — დარაიონდეს XX ზონაში — სამხრეთ ოსეთის მთაგორიანი.

3. ჯიში ბაზრის საკვირველება 20 — მოიხსნას დარაიონებიდან I ზონაში — ზღვისპირა სუბტროპიკული ტენიანი და ჭარბტენიანი (ზუგდიდის და ხობის რაიონებისათვის), II ზონაში — სუბტროპიკული ტენიანი (ცხაკაიას რაიონისათვის) და VI ზონაში — მესხეთის მთაგორიანი.

4. ჯიში შუქურა 12/20-4 — მოიხსნას დარაიონებიდან III ზონაში — ქვემო იმერეთის.

5. ჯიში ერლიანა 2 — მოიხსნას დარაიონებიდან XX ზონაში — სამხრეთ ოსეთის მთაგორიანი.

თავიანი ხახვი

1. ჯიში კრასნოდარის გ-35 — გავრცელდეს დარაიონება საგაზაფხულო და საშემოდგომო თესვისათვის II ზონაზე — სუბტროპიკული ტენიანი (აბაშის და სამტრედიის რაიონებისათვის)

2. ჯიში ესპანური 313 — გავრცელდეს დარაიონება საშემოდგომო თესვისათვის II ზონაზე — სუბტროპიკული ტენიანი (აბაშისა და სამტრედიის რაიონებისათვის).

3. ჯიში ქაბა — გავრცელდეს დარაიონება საგაზაფხულო და საშემოდგომო თესვისათვის X ზონაზე — ქვემო ქართლის სარწყავი.

სუფრის სტაფილო

ჯიში ნანტის გორული — გავრცელდეს დარაიონება საზაფხულო თესვისათვის II ზონაზე — სუბტროპიკული ტენიანი (აბაშის და სამტრედიის რაიონებისათვის).

ბოლოკი

1. ჯიში ჩინური ადგილობრივი — გავრცელდეს დარაიონება I ზონაზე — სუბტროპიკული ტენიანი და ჭარბტენიანი და IX ზონაზე — ქართლის სარწყავი (მცხეთის რაიონისათვის).

2. ჯიში საზამთრო მრგვალი თეთრი — გავრცელდეს დარაიონება IX ზონაზე — ქართლის სარწყავი (გარდა ხაშურის რაიონისა) და XX ზონაზე — სამხრეთ ოსეთის მთაგორიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის ბოლოკი

1. ჯიში წითელი ბოლოთეთრა — გავრცელდეს დარაიონება II ზონაზე — სუბტროპიკული ტენიანი (აბაშის და სამტრედიის რაიონებისათვის); XVI ზონაზე — ალაზნის სარწყავი და მთელ IX ზონაზე — ქართლის სარწყავი.

2. ჯიში რუბინი —გავრცელდეს დარაიონება მთელ პირველ ზონაზე — სუბტროპიკული ტენიანი და ჭარბტენიანი, II ზონაზე — სუბტროპიკული ტენიანი (ცხაკაიას რაიონისათვის) და IX ზონაზე — ქართლის სარწყავი (ხაშურის რაიონისათვის).

საპარკე მწვანე ლობიო

1. ჯიში უსარო — გავრცელდეს დარაიონება IX ზონაზე — ქართლის სარწყავი (ხაშურის რაიონისათვის).

2. ჯიში ცანავა 3 — მოიხსნას დარაიონებიდან პირველ ზონაში — სუბტროპიკული ტენიანი და ჭარბტენიანი (ზუგდიდის და ხობის რაიონებისათვის), II ზონაში — სუბტროპიკული ტენიანი (ცხაკაიას რაიონისათვის), IX ზონაში — ქართლის სარწყავი (ხაშურის რაიონისათვის) და XX ზონაში — სამხრეთ ოსეთის მთაგორიანი.

ტკბილი წიწაკა

ჯიში დრუჟნი 401 — დარაიონდეს III ზონაში — ქვემო იმერეთის

კარტოფილი

ჯიში საადრეო ვარდი — მოიხსნას დარაიონებიდან XII ზონაში — თრიალეთის მთიან-ტყიანი (გარდა დმანისის რაიონისა)

ბროწეული

1. ჯიში გიულოშა ვარდისფერი — დარაიონდეს გურჯაანის, სიღნაღისა და თელავის რაიონებისათვის.

2. ჯიში სალავათის — დარაიონდეს გურჯაანის, სიღნაღისა და თელავის რაიონებისათვის.

ხურმა

1. ჯიში სიდლის — გაფართოვდეს დარაიონება ვანის, მაიაკოვსკისა და წყალტუბოს რაიონებისათვის.

2. ჯიში ზენჯი მარუ — (სამტვერებელი) — გაფართოვდეს დარაიონება ვაგრის, გუდაუთის, გულრიფშის, გურჯაანის, ყვარლის, ლაგოდეხის, სიღნაღის, ხოხუმისა და თელავის რაიონებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხილი

1. ჯიში გულშიშველა — გაფართოვდეს დარაიონება ვანის, გალის, ყვარლის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, მახარაძის, მაიაკოვსკის, ოჩამჩირის, წყალტუბოსა და ჩოხატაურის რაიონებისათვის.

2. ჯიში ხაჭაპურა — დარაიონდეს როგორც სამტვერებელი ვანის, ზუგდიდის, ყვარლის, ლაგოდეხის, ლანჩხუთის, მახარაძის, მაიაკოვსკის, ხობის, წყალტუბოსა და ჩოხატაურის რაიონებისათვის.

3. ჯიში განჯა — დარაიონდეს გალის, ზუგდიდის, ლანჩხუთის, მახარაძის, ოჩამჩირის, ხობისა და ჩოხატაურის რაიონებში.

აბრეშუმის ჭია

ჰიბრიდი თბილნიიშ 3 X ქართლი და ქართლი X თბილნიიშ 3 — დარაიონდეს საგაზაფხულო გამოკვებისათვის ხაშურის, კასპის, გორის, ქარელის, მცხეთის, გარდაბნისა და მარნეულის რაიონებში.

33 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62-ე მუხლის შესაბამისად, დაიშვება მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით, საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, — შემდეგი შინაარსის პუნქტები:

„62. გუდაუთის რაიონის ახალი ათონის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა

63. გულრიფშის რაიონის ილიჩის სახელობის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა

64. ბათუმის რაიონის ახალშენის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობა

65. გაგრის რაიონის მერძევეობა-მებოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა“

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 18 მარტი, № 156.

34 ირგვლივი პროტექტორის დადების მეთოდით ავტოსაბურავების აღდგენის ღონისძიებების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაწესდეს, რომ ის პირები, რომლებიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების მთავარ სამმართველოს სისტემის მიმღებ-გადამცვლელ პუნქტებს აბარებენ ავტოსაბურავებს ირგვლივ პროტექტორის დადების მეთოდით აღსადგენად, ანაზღაურებენ ამ პუნქტების მომსახურების საფასურს შემდეგი ანგარიშით: 1 მან. და 70 კაპიკი თვითეულ საბურზე.

აღნიშნული ფასი გადახდება იმ მოქმედი დროებითი ფასების გადამეტებით, რაც დაწესებულია საქართველოს სსრ საწარმოების მიერ პროტექტორის დადების მეთოდით ავტოსაბურავების აღსადგენად მოსახლეობისათვის.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 18 მარტი, № 157.

35 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 თებერვლის № 119 დადგენილებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილების გაუქმების შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 თებერვლის № 119 დადგენილებისა „საბუღალტრო აღრიცხვის ორგანიზაციის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრისა და სახალხო მეურნეობისადმი კონტროლის განხორციელებაში მისი როლის გაძლიერების ზომების შესახებ“ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 ნოემბრის № 923 დადგენილებასთან დაკავშირებით სსრ კავშირის მთავრობის გადაწყვეტილებათა შეცვლისა და გაუქმების თაობაზე“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 8 ოქტომბრის № 1123 დადგენილება „სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა მთავარი (უფროსი) ბუღალტრების შესახებ“.

2. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 6 მაისის № 441 დადგენილება „სახელმწიფო, კოოპერაციულ, საზოგადოებრივ დაწესებულე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბათა, ორგანიზაციათა და საწარმოთა მთავარი (უფროსი) ბუღალტრების შესახებ“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1947 წლის 8 ოქტომბრის № 1123 დადგენილების დამატების თაობაზე“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 22 მარტი, № 169.

36 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის საკავშირო რესპუბლიკური სახელმწიფო კომიტეტის შექმნის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 15 იანვრის № 37 დადგენილების შესაბამისად, გარდაიქმნას საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების ზედამხედველობის და სამთო ზედამხედველობის სახელმწიფო კომიტეტი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მრეწველობაში სამუშაოთა უსაშიშრო წარმოების ზედამხედველობისა და სამთო ზედამხედველობის საკავშირო-რესპუბლიკურ სახელმწიფო კომიტეტად — საქართველოს სსრ სახსამთოზედამხედველობა.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 24 მარტი, № 184.

37 ქ. თბილისში სამინისტროების, უწყებების, დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაობის დაწყების დროის შესახებ

აღინიშნოს, რომ საქართველოს სსრ ზოგიერთი უწყება, ორგანიზაცია და საწარმო არღვევს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 12 ნოემბრის № 745 დადგენილების იმ ნაწილს, რომელიც შეეხება სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დაწესებული დროის დაცვას, აგრეთვე დაწესებული ერთსაათიანი სასადილო დასვენების ნაცვლად ზოგჯერ თვითნებურად ამცი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებს ამ დასვენებას ნახევარ საათამდე. ყოველივე ეს იწვევს საქალაქო ტრანსპორტის მუშაობის სიძნელეებს მუშა-მოსამსახურეთა გადაყვანის მხრივ ყველაზე დაძაბულ საათებში (მუშაობის დაწყების წინა და დამთავრების შემდეგ).

იმ მიზნით, რომ გაუმჯობესდეს ყველაზე დაძაბულ საათებში თბილისის საქალაქო ტრანსპორტით მუშა-მოსამსახურეთა და მოსწავლეთა მგზავრობის პირობები, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. მიღებულ იქნას თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის წინადადება იმის შესახებ, რომ დაწესდეს ქ. თბილისში 1966 წლის 10 აპრილიდან მუშაობის დაწყების შემდეგი დრო:

საკავშირო-რესპუბლიკურ და რესპუბლიკურ სამინისტროებში, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო კომიტეტებში, სამმართველოებსა და კომისიებში — დილის 9 საათზე;

საკავშირო და რესპუბლიკური დაქვემდებარების დაწესებულებებში — დილის 8 საათსა და 30 წუთზე — 9 საათსა და 30 წუთზე;

ადგილობრივი დაქვემდებარების დაწესებულებებსა და ორგანიზაციებში — დილის 9 საათსა და 30 წუთზე;

სამეცნიერო და სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებში — დილის 10 საათზე;

საპროექტო და საკონსტრუქტორო ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში, მათ უწყებრივი კუთვნილების მიუხედავად, — დილის 9 საათსა და 30 წუთზე;

უმაღლეს და საშუალო სპეციალურ სასწავლებლებში — დილის 8 საათზე — 9 საათსა და 30 წუთზე;

პოლიკლინიკებში — დილის 9 საათსა და 30 წუთზე;

სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში (საავადმყოფოებში) — დილის 9 საათზე;

სამრეწველო და სატრანსპორტო საწარმოებში — დილის 7 საათზე — 9 საათზე.

2. დაევალოს თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომს დაამტკიცოს ქ. თბილისის დაწესებულებების, საწარმოების, ორგანიზაციების, უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მუშაობის დაწყების გრაფიკი და აცნობოს იგი სათანადო საწარმოებსა და დაწესებულებებს.

3. დაევალოთ თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს და ქ. თბილისის რაიონული საბჭოების აღმასკომებს კონტროლი გაუწიონ ყველა დაწესებულებას, საწარმოსა და ორგანიზაციას მუშაობის დაწყების დაწენებული დროის დაცვის საქმეში.

4. დაწესდეს ქ. თბილისის დაწესებულებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაკებისათვის სასადილო დასვენება ერთი საათის ხანგრძლიობით.

5. ამ დადგენილებასთან დაკავშირებით, ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1958 წლის 12 ნოემბრის № 745 დადგე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნილება და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 4 მარტის № 244 განკარგულება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 24 მარტი, № 194.

38 თბილისის სახლმშენებლობის კომბინატის ისეთი სახლების გამოშვებაზე გადაყვანის შესახებ, რომელთა სადგომების სიმაღლე 2,70 მეტრი იქნება

ამონაკრები

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო აღნიშნავს, რომ უკანასკნელ დროს რესპუბლიკაში რამდენადმე გაუმჯობესდა მსხვილპანელიანი სახლმშენებლობის ხარისხი; ამჟამად შენდება მსხვილპანელიანი სახლები ბინების გაუმჯობესებული დაგეგმვით, გარეგანი კედლების პანელები გამოშვებულია ერთფენოვანი მოფაქტურებული ზედაპირით, გაუმჯობესებულია სახლების მონტაჟი და შინაგანი მოპირკეთება.

რესუბლიკაში მსხვილპანელიანი სახლმშენებლობის შემდგომი გადიდების მიზნით, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაევალოს საქართველოს სსრ მშენებლობის სამინისტროს მოაწყოს თბილისის სახლმშენებლობის კომბინატში ისეთი მსხვილპანელიანი სახლების გამოშვება, რომელთა სადგომების სიმაღლე 2,70 მეტრი იქნება.

8. დაევალოს თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომს გაითვალისწინოს 1966 წელს ისეთი ცხრასართულიანი მსხვილპანელიანი სახლების ექსპერიმენტული მშენებლობის ჭარბნაკეთი, რომელთა სადგომების სიმაღლე 2,7 მეტრი იქნება.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 24 მარტი № 197.

39 „შოფრის კვალიფიკაციის მიკუთვნების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 27 თებერვლის № 143 დადგენილების გაუქმების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 30 სექტემბრის № 1022 დადგენილებასთან და მის შესაბამისად მიღებულ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 26 სექტემბრის № 609 დადგენილებასთან დაკავშირებით, ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 27 თებერვლის № 143 დადგენილება და ამ დადგენილების დანართი — „დებულება შოფრის კვალიფიკაციის მიკუთვნების წესის შესახებ“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარის მოადგილე **გ. ჩოგოვაძე.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 11 აპრილი, № 204.

40 თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გამოყენებითი მათემატიკისა და პროგრამების საპრობლემო ლაბორატორიის შექმნის შესახებ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მეცნიერებისა და ტექნიკის სახელმწიფო კომიტეტის კოლეგიის 1966 წლის 21 იანვრის № 6 გადაწყვეტილების შესაბამისად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან შეიქმნას გამოყენებითი მათემატიკისა და პროგრამირების საპრობლემო ლაბორატორია კიბერნეტიკის საპრობლემო ლაბორატორიის გამოსათვლელი მანქანების განყოფილების ბაზაზე, მუშაკთა საერთო რაოდენობის, ხელფასის ფონდისა და ასიგნობათა ფარგლებში, რომლებიც გათვალისწინებულია საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების 1966 წლის გეგმით საქართველოს სსრ უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სამეცნიერო დაწესებულებებისათვის.

2. დაეკისროს აღნიშნულ საპრობლემო ლაბორატორიას:

— ახალი რიცხვითი მეთოდების, მათ შორის არახაზოვანი დიფერენციალურ და ინტეგრალურ განტოლებათა გადაწყვეტის მეთოდების შემუშავება, უმნიშვნელოვანესი გამოყენებითი ამოცანების შესაბამისად;

— ამ მეთოდების გამოყენება სამეცნიერო-საინჟინრო და ეკონომიური ამოცანების გამოკვლევისა და გაანგარიშებისათვის ელექტრონულ ლგამოსათვლელ მანქანებზე;

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მაღალი ენერგიების ფიზიკის, დრეკადობის თეორიისა და მათემატიკური ფიზიკის ამოცანების გადაწყვეტის მეთოდების შემუშავება გამოთვლითი ტექნიკის გამოყენებით;

— ალგორითმების სისტემების შემუშავება ალგორითმულ ენებზე, მათი გამოცდა გამოსათვლელ მანქანებზე და მათი გამოყენების მეთოდური მასალების შემუშავება;

— ელექტრონულ გამოსათვლელ მანქანებზე პროგრამირებისა და პროგრამირების ავტომატიზაციის თეორიული და გამოყენებითი საკითხების შემუშავება;

— ალბათობის თეორიის და მათემატიკური სტატისტიკის პრობლემების შემუშავება და მათი გამოყენება.

დაწესდეს, რომ გამოყენებითი მათემატიკის საპრობლემო ლაბორატორიის მეცნიერული გამოკვლევების გეგმები შეთანხმებულ უნდა იქნას სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიასთან.

3. საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტრომ და უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტრომ გაითვალისწინონ 1967 წლისათვის ასიგნობანი ბესმ-3მ ან მინსკ-22 ტიპის ციფრობრივი გამოსათვლელი მანქანის შესაძენად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 24 მარტი, № 207.

ეროვნული ბიბლიოთეკა

41 სახელმწიფო საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებისათვის მიწების გამოყოფის საკითხებზე შუამდგომლობის აღძვრისა და განხილვის წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

შესაბამისად სოფლის მეურნეობის საკავშირო კომიტეტის 1965 წლის 1 თებერვლის № 2 გადაწყვეტილებისა „არასასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის მიწების გამოყოფაში ზედმეტობის აღმოფხვრის ზომების შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს დებულება სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებისათვის მიწების გამოყოფის საკითხებზე შუამდგომლობის აღძვრისა და განხილვის წესის შესახებ.

2. დაევალოთ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს, საქალაქო და რაიონულ აღმასკომებს, სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოებს, საქართველოს სსრ სახმშენს, სამინისტროებსა და უწყებებს, საპროექტო ორგანიზაციებსა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებს მტკიცედ იხელმძღვანელონ ამ დადგენილებით დამტკიცებული დებულებით სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებისათვის მიწების გამოყოფის საკითხებზე შუამდგომლობის აღძვრისა და განხილვის წესის შესახებ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ჭიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 22 აპრილი, № 230.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 22 აპრილის № 230
დადგენილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებისათვის მიწების გამოყოფის საკითხებზე შუამდგომლობის აღძვრისა და განხილვის წესის შესახებ

1. მიწის ნაკვეთების გამოყოფა სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებისათვის (ქარხნების, ფაბრიკების, ელექტროსადგურების, ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა, სათავდაცვო ობიექტების მშენებლობა, მადნეული და არამადნეული წიაღისეულის მოპოვება, რკინიგზისა და გზატკეცილების მშენებლობა და სხვა საჭიროებანი) კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სხვა კოოპერაციული და სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწებიდან წარმოებს მხოლოდ განსაკუთრებულ, აუცილებელ შემთხვევებში და როდესაც სხვა თავისუფალი მიწები არ მოიპოვება.

აღნიშნული მიწების გამოყოფა წარმოებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს დადგენილებებით.

2. ნაკვეთების გამოყოფა კოლმეურნეობათა მიწებიდან შეიძლება მოხდეს მხოლოდ კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) თანხმობით; საბჭოთა მეურნეობების, სატყეო მეურნეობების, დამხმარე მეურნეობების, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიწებიდან — შესაბამის სამინისტროებთან და უწყებებთან შეთანხმებით; საკავშირო მნიშვნელობის საბჭოთა მეურნეობების, დამხმარე მეურნეობების და სხვა საწარმოების, დაწესებულებების და ორგანიზაციების მიწებიდან — შესაბამისი სამინისტროებისა და უწყებების თანხმობით.

3. ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დაბების საზღვრების ფარგლებში კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიწები, რომლებიც გამოყოფილია კაპიტალური მშენებლობის მიზნებისათვის, ჩაირიცხება საქალაქო ან სადაბო მიწის ფონდში მიზნობრივი დანიშნულების აღნიშვნით.

4. მიწების გამოყოფით დაინტერესებულ სამინისტროებს, უწყებებს, ცენტრალურ რესპუბლიკურ დაწესებულებებს და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შეაქვთ თავიანთი განაცხადები მიწების გამოყოფის შესახებ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში გამოთხოვილი მიწის ნაკვეთების გამოყოფის აუცილებლობისა და ოდენობის დასაბუთებით.

ამის გარდა, დამატებით უნდა იქნას წარდგენილი: დამტკიცებული სატიტულო სიის ამონაწერი ან ზემდგომი ორგანიზაციის ცნობა ამ მშენებლობის დაფინანსების შესახებ და პროექტი ან სქემა მშენებლობის ობიექტების განლ-

ლაგებისა გამოთხოვილ ნაკვეთზე, ამასთან აღინიშნება მშენებლობის რიგითობა წლების მიხედვით, აგრეთვე წარედგინება საქართველოს სსრ მშენებლობის საქმეთა კომიტეტის (სახმშენის) ცნობა იმის შესახებ, რომ კაპიტალური მშენებლობის მოცემული ობიექტი შეთანხმებულია ძასთან.

5. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო განიხილავს შემოსულ განაცხადებს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მეშვეობით, მე-4 პუნქტში აღნიშნული მასალების დართვით გაუგზავნის აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის შესაბამის სამინისტროებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს ან სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოს, ხოლო სახელმწიფო სატყეო ფონდის მიწებზე — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის მეშვეობით — შესაბამის საქვეუწყებო სატყეო მეურნეობებს იმისათვის, რომ მოამზადონ და გააფორმონ სამიწათმომწყობო საქმე მიწის ნაკვეთების გამოყოფის თაობაზე და წარმოადგინონ წინადადებანი.

6. სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოები და სატყეო მეურნეობები — კუთვნილებისამებრ განიხილავენ მიწების გამოყოფის შესახებ შემოსულ განაცხადებს, მოამზადებენ სამიწათმომწყობო საქმეს და დასკვნას გამოთხოვილი მიწების გამოყოფის მიზანშეწონილობის შესახებ და წარადგენენ საკითხს რაიაღმასკომის განსახილველად.

ცალკეულ შემთხვევებში, როდესაც გამოსაყოფად გამოთხოვილია მიწის მნიშვნელოვანი ფართობები, საჭირო მასალების მომზადება და მიწების გამოყოფის სამიწათმომწყობო საქმის გაფორმება შეიძლება შეასრულოს მიწათმოწყობის რესპუბლიკური საპროექტო ინსტიტუტის „საქსახმიწპროექტის“ მიწათმომწყობმა ბრიგადამ დაინტერესებულ ორგანიზაციასთან სახელშეკრულებო საწყისებზე.

მასალების მომზადება და მიწების გამოყოფა წარმოებს მთლიანად ობიექტისათვის.

7. მას შემდეგ, რაც რაიაღმასკომი, ხოლო ავტონომიურ რესპუბლიკებსა და ოლქში — მინისტრთა საბჭოები და საოლქო აღმასკომი განიხილავენ მასალებს მიწების გამოყოფის შესახებ და მიიღებენ გადაწყვეტილებას, სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველო გაუგზავნიან სამიწათმომწყობო საქმეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსათვის წარსადგენად.

სამიწათმომწყობო საქმე უნდა შეიცავდეს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) მიწების გამოყოფით დაინტერესებული სამინისტროს, უწყების, რესპუბლიკური დაწესებულების და ორგანიზაციის განაცხადს მიწის გამოყოფის საჭიროების შესახებ, გამოთხოვილი ფართობის რაოდენობის დასაბუთებით;

ბ) დამტკიცებული სატიტულო სიის ამონაწერს ან ზემდგომი ორგანიზაციის ცნობას მშენებლობის დაფინანსების შესახებ;

გ) პროექტს ან სქემას მშენებლობის ობიექტის განლაგებისა გამოთხოვილ ნაკვეთზე, ამასთან აღინიშნება მშენებლობის რიგითობა წლების მიხედვით;

ეროვნული ბიბლიოთეკა

დ) საქართველოს სსრ სახმშენის ცნობას კაპიტალური მშენებლობის ობიექტის მასთან შეთანხმების შესახებ;

ე) სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოს ცნობას იმის შესახებ, რომ შეუძლებელია გამოიყოს მოცემული ობიექტისათვის ნაკვეთები სახელმწიფო მიწის მარაგის, სახელმწიფო სატყეო ფონდის, ქალაქებისა და დაბების მიწებიდან და სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოუყენებელი სხვა მიწებიდან;

ვ) გეგმას (ნახაზს) იმ კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის ან სხვა მიწათმოსარგებლის მიწებისა, რომლისაგანაც გამოიყოფა ნაკვეთი, ამასთან გეგმაზე (ნახაზზე) აღინიშნება მიწის სავარგულები, თესლბრუნვის მინდვრები და გამოსაყოფად ნავარაუდევი მიწის ნაკვეთი;

ზ) იმ მეურნეობის მიწების ექსპლიკაციას, რომლისაგანაც გამოიყოფა ნაკვეთი, ამასთან აღინიშნება მიწები სავარგულების მიხედვით (არსებული რაოდენობა, რამდენი გამოიყოფა და რა რჩება გამოყოფის შემდეგ);

თ) კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) ოქმს, რომ იგი თანახმაა გამოიყოს მიწის ნაკვეთი კოლმეურნეობის მიწებიდან, ანდა საბჭოთა მეურნეობის ან სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოს და სხვა მეურნეობის დირექციის დასკვნას საბჭოთა მეურნეობის (სასწავლო საცდელი, სახელმწიფო სანერგის ან სხვა მეურნეობის) მიწებიდან ნაკვეთის გამოყოფის საკითხზე;

ი) საბჭოთა მეურნეობების ტრესტის დასკვნას;

კ) რაიალმასკომის კომისიის აქტს (დაინტერესებულ მხარეთა მონაწილეობით) გამოსაყოფი მიწების დამუშავების, განოყიერების, გაწყლიერების, ამოშრობის და მათი გაუმჯობესების სხვა ღონისძიებათა გამოუყენებელი დანახარჯების, გამოსაყოფ ნაკვეთზე არსებული შენობების, მრავალწლიანი ნარგავების და იმ ხარჯების განსაზღვრის შესახებ, რომლებიც დაკავშირებულია ახალი მიწების ათვისებასთან, ნაცვლად ჩამორთმეული სასოფლო-სამეურნეო სავარგულებისა;

ლ) ტყის ნაკვეთების ტექნიკური გამოკვლევის აქტს და გეგმას (ნახაზს), შედგენილს სატყეო მეურნეობის მიერ სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის დასკვნით, თუ წარმოებს ტყის ნაკვეთების გადაცემა სახელმწიფო სატყეო ფონდში ან მიწების გამოყოფა სახელმწიფო სატყეო ფონდიდან;

მ) იმ შემთხვევაში, როდესაც ხდება მიწების გამოყოფა სასოფლო-სამეურნეო გამოყენებისათვის ერთი მიწათმოსარგებლიდან (კოლმეურნეობიდან, საბჭოთა მეურნეობიდან, სახელმწიფო სანერგიდან, დამხმარე მეურნეობიდან და ა. შ.) სხვა მიწათმოსარგებლისათვის გადასაცემად, წარდგენილ უნდა იქნას აგრეთვე იმ მეურნეობის ეკონომიური დახასიათება, რომლიდანაც წარმოებს მიწის ნაკვეთის გამოყოფა და რომელსაც გადაეცემა მიწა (მეურნეობათა და კოლმეურნეობაში შრომისუნარიან პირთა რაოდენობა, რამდენია პირუტყვის სულადობა და უზრუნველყოფილია თუ არა იგი საკვებით და სხვა მაჩვენებლები);

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნ) სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოს დასკვნას;

ო) რაიაღმასკომის გადაწყვეტილებას;

8. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო განიხილავს მასალას მიწების გამოყოფის შესახებ, შეათანხმებს მას რესპუბლიკურ ორგანოსთან, რომლის მეურნეობათა მიწებიდან განზრახულია მიწის ნაკვეთის გამოყოფა, აგრეთვე საკავშირო მნიშვნელობის შესაბამის საწარმოებთან, დაწესებულებებთან და ორგანიზაციებთან, და თავის დასკვნასთან და ამ საკითხზე დადგენილების პროექტთან ერთად წარმოუდგენს განსახილველად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს.

9. თუ სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებისათვის მიწების გამოყოფა წარმოებს სახელმწიფო სატყეო ფონდიდან, წინადადებას და მიწების გამოყოფის გაფორმების სამიწათმომწყობო საქმეს მოამზადებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტი თავისი სატყეო მეურნეობის მეშვეობით და თავისი დასკვნით წარმოუდგენს განსახილველად საქართველს სსრ მინისტრთა საბჭოს.

10. კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისათვის გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაცვლად ახალი მიწების ათვისების ხარჯების და გამოსაყოფი მიწების დამუშავების, განოყიერების, გაწყლიერების, ამოშრობისა და მათ გაუმჯობესებასთან დაკავშირებულ სხვა ღონისძიებათა გამოუყენებელი დანახარჯების, ხოლო კოლმეურნეობებისა და სხვა კოოპერაციული სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის გამოსაყოფ მიწის ნაკვეთზე არსებული მრავალწლიანი ნარგავების და ყველა გადასაცემი შენობისა და ნაგებობის ღირებულების ან ახალ ადგილზე მათი გადატანისა და მშენებლობის ღირებულების და მიწის გამოყოფასთან დაკავშირებული სხვა ხარჯების, მათ შორის მიწათმოწყობის ხარჯების ანაზღაურება ეკისრებათ იმ საწარმოებს, ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს, რომლებსაც გამოეყოფათ მიწები.

გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაცვლად ახალი მიწების ათვისებისათვის საჭირო სახსრებს დაწესებულებები, საწარმოები და ორგანიზაციები ჩარიცხავენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს სპეციალურ ანგარიშზე, ხოლო საზღაურის დანარჩენ სახეობათა ღირებულებას (გარდა მიწათმოწყობისა) ჩარიცხავენ იმ მიწათმოსარგებლეთა ანგარიშებზე, რომლებისგანაც მოხდა მიწების გამოყოფა.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს უფლება ენიჭება აწარმოოს ახალი მიწების ათვისება, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის გამოყოფილი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ნაცვლად, რეკომენდაციის იმ რაიონებში, სადაც არსებობს მათი ათვისების შესაძლებლობა.

ახალი მიწების ათვისების სახსრები მიზნობრივი დანიშნულებისაა და იხარჯება მხოლოდ აღნიშნული ღონისძიებებისათვის. მიმდინარე წელს გამოუყენებელი სახსრების ნაშთს სახელმწიფო ბანკის დაწესებულებები არ დახურავენ და ეს სახსრები გადადის შემდგომი წლისათვის.

11. საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებსაც დროებითი სარგებლობისათვის გამოეყოფათ სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში გამოყენებული მიწები, მას შემდეგ, რაც ეს მიწები მათთვის საჭირო არ იქნება ან დამთავრდება მათი სარგებლობის ვადა, მოვალენი არიან დაუბრუნონ ისინი რაიაღმასკომის გადაწყვეტილებით წინანდელ მიწათმოსარგებლეებს სოფლის მეურნეობაში გამოსაყენებლად ვარგის მდგომარეობაში, რაც ეცნობება შესაბამისი ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს.

12. ასაგები ობიექტების, კავშირგაბმულობის, ელექტროგადამცემი ხაზების და სხვა კომუნიკაციების განლაგება სასოფლო-სამეურნეო მიწებზე შეთანხმებულ უნდა იქნას დაპროექტების სტადიაში დაინტერესებულ მიწათმოსარგებლეებთან, რაიაღმასკომებთან და სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოებთან.

როდესაც მიწათმოსარგებლეები ან სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოები არ ეთანხმებიან ნაგებობათა განლაგებას, დასკვნებს განლაგების შესაძლებლობის შესახებ მისცემენ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველო თავიანთი რესპუბლიკებისა და ოლქის ფარგლებში, ხოლო რესპუბლიკის დანარჩენ რაიონებში — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

13. აკრძალულია ობიექტების მშენებლობის დაწყება გამოსაყოფ მიწებზე მანამ, ვიდრე არ იქნება გამოტანილი საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება მიწების გამოყოფის შესახებ და არ იქნება გამოყოფილი მიწის ნაკვეთი ნატურაში, რაზედაც უნდა შედგეს აქტი.

14. სამრეწველო და სხვა საჭიროებისათვის მიწის ნაკვეთების თვითნებურად დაკავების თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფო ბანკის და სამშენებლო ბანკის განყოფილებები ობიექტების მშენებლობის დაფინანსებას აწარმოებენ იმ შემთხვევაში, თუ საწარმოს ან ორგანიზაციას ექნება საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადაწყვეტილება მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ და იმის აქტი, რომ ნაკვეთი ნატურაში გამოყოფილია.

15. კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა მეურნეობების შუამდგომლობას მათ შორის მიწის ნაკვეთების გაცვლის შესახებ, მიწათსარგებლობაში არსებულ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით, აგრეთვე იმის შესახებ, რომ გადაცვალონ ამ მეურნეობათა მიწის ნაკვეთები სახელმწიფო სატყეო ფონდის და სახელმწიფო მიწის ფონდის მიწებზე, — განიხილავენ სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოები, რომლებიც მოამზა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებენ დასკვნას და რაიაღმასკომის მიერ ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, სამიწათმომწყობო საქმეს გაუგზავნიან აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს (თავიანთი რესპუბლიკებისა და ოლქის ფარგლებში) და საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს (სამმართველოები, რომლებიც არ შედიან ავტონომიური რესპუბლიკის და ოლქის შემადგენლობაში), რასაც დაერთვის შემდეგი დოკუმენტები:

ა) დაინტრესებულ მიწათმოსარგებლეთა თანხმობა მიწის ნაკვეთების გაცვლის შესახებ;

ბ) იმ რესპუბლიკური ან საოლქო ორგანოს დასკვნა, რომელთა მეურნეობასაც ეხება მიწების გაცვლა;

გ) ცნობა მიწების გამცვლელ მეურნეობათა მიწათსარგებლობისა და გასაცვლელი ნაკვეთების რაოდენობის შესახებ სავარგულების მიხედვით;

დ) იმ კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა მიწათმოსარგებლეთა მიწების გეგმა (ნახაზი), რომელთა შორის ხდება მიწის ნაკვეთების გაცვლა, ამ ნაკვეთების მდებარეობის აღნიშვნით;

ე) სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოს დასკვნა;

ვ) რაიაღმასკომის გადაწყვეტილება.

16. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროები და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველო განიხილავენ მასალას მიწის ნაკვეთების გაცვლის შესახებ და თავიანთ დასკვნასთან და გადაწყვეტილების პროექტთან ერთად წარუდგენენ ავტონომიური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს და საოლქო აღმასკომს.

17. ავტონომიური სსრ მინისტრთა საბჭოები და საოლქო აღმასკომი განიხილავენ მასალებს და მიიღებენ გადაწყვეტილებას მიწის ნაკვეთების გაცვლის შესახებ თავიანთი რესპუბლიკებისა და ოლქის ფარგლებში.

რესპუბლიკის ყველა დანარჩენი რაიონიდან მასალები მიწის ნაკვეთების გაცვლის შესახებ ეგზავნება საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რომელიც განიხილავს მათ და თავის დასკვნას დადგენილების პროექტთან ერთად წარუდგენს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს გადასაწყვეტად.

18. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს მიერ საკითხის განხილვისა და შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო მისცემს მითითებებს სოფლის მეურნეობის რაიონულ საწარმოო სამმართველოებს მიწათსარგებლობის დოკუმენტაციაში ცვლილების შეტანის შესახებ.

19. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის და რაიაღმასკომების შუამდგომლობებით ნებას დართავს კოლმეურნეობებს, საბჭოთა მეურნეობებს და სოფლის მეურნეობის სხვა სახელმწიფო საწარმოებს გამოყონ საკარმიდამო მიწის ფონდი საზოგადოებრივი მიწებიდან განსაკუთრებული აუცილებლობის შემთხვევებში, თუ არსებობს შემდეგი დოკუმენტები:

ა) კოლმეურნეობის წევრთა უფლებამოსილი კრების (რწმუნებულთა კრების) ოქმი ან საბჭოთა მეურნეობის და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოს დირექციის შუამდგომლობა საკარმიდამო მიწის ფონდის გადიდების შესახებ;

ბ) ცნობა, თუ რამდენია საკარმიდამო მიწები მეურნეობაში და როგორ არის ისინი გამოყენებული;

გ) კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის ან სხვა სახელმწიფო მეურნეობის მიწების გეგმა (ნახაზი) იმ საზოგადოებრივი მიწის ნაკვეთის აღნიშვნით, რომელიც უნდა ჩაირიცხოს საკარმიდამო მიწის ფონდში;

დ) სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოს დასკვნა;

ე) რაიაღმასკომის გადაწყვეტილება;

ვ) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს დასკვნები თავიანთი რესპუბლიკებისა და ოლქის ფარგლებში;

ზ) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებანი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის გადაწყვეტილება თავიანთი რესპუბლიკებისა და ოლქის ფარგლებში.

20. საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო თავისი განკარგულებით ნებას დართავს დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს, რომლებიც ახორციელებენ გეოლოგიურ-სადაზვერვო, ტოპოგრაფიულ და სხვა საძიებო სამუშაოებს, დაიკავონ ერთ წლამდე ვადით მიწის ნაკვეთები კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, სახელმწიფო სატყეო ფონდის და სახელმწიფო ფონდის მიწებზე, აგრეთვე საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი მნიშვნელობის საწარმოთა, ორგანიზაციათა და დაწესებულებათა მიწებზე, იმ პირობით, თუ არსებობს შემდეგი დოკუმენტები:

ა) იმ დაწესებულებათა და ორგანიზაციათა განაცხადები, რომლებიც ახორციელებენ გეოლოგიურ-სადაზვერვო, ტოპოგრაფიულ და სხვა საძიებო სამუშაოებს, აღნიშნული მიზნებისათვის მიწის ნაკვეთების სარგებლობის უფლების შესახებ;

ბ) საძიებო სამუშაოთა დამტკიცებული გეგმის ამონაწერი და დოკუმენტები, რომლებიც ასაბუთებენ გამოთხოვილი მიწის ფართობის რაოდენობას;

გ) კოლმეურნეობის გამგეობის თანხმობა მის ტერიტორიაზე საძიებო სამუშაოთა ჩატარების შესახებ;

დ) სატყეო მეურნეობის, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სატყეო მეურნეობის სახელმწიფო კომიტეტის, საბჭოთა მეურნეობის, იმ საწარმოს ან ორგანიზაციის დირექციის დასკვნები, რომელთა მიწებზე განზრახულია საძიებო სამუშაოების შესრულება;

ე) სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოს დასკვნა;

ვ) რაიაღმასკომის გადაწყვეტილება ამ საკითხზე;

ზ) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროების და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს დასკვნები თავიანთი რესპუბლიკებისა და ოლქის ფარგლებში;

თ) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებანი და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის გადაწყვეტილებანი თავიანთი რესპუბლიკებისა და ოლქის ფარგლებში.

21. საწარმოები, ორგანიზაციები და დაწესებულებები, რომლებსაც სჭირდებათ სათანადო ოდენობის მიწის ნაკვეთების გამოყოფა სახელმწიფო ფონდის მიწებიდან სხვადასხვა საჭიროებისათვის, განაცხადებს უგზავნიან სოფლის მეურნეობის შესაბამის რაიონულ საწარმოო სამმართველოს, რომელიც მოამზადებს დასკვნას და რაიაღმასკომის მიერ ამ საკითხზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ წარუდგენს მათ აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს ამ რესპუბლიკებისა და ოლქის ფარგლებში, ხოლო სოფლის მეურნეობის დანარჩენი საწარმოო სამმართველოები — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, რასაც დაურთავენ შემდეგ დოკუმენტებს:

ა) დაწესებულებათა და ორგანიზაციათა განაცხადებს მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ და გაანგარიშებებს, რომლებიც ასაბუთებენ გამოთხოვილი მიწის ფართობის რაოდენობას;

ბ) გამოთხოვილი მიწის ნაკვეთის გეგმას (ნახაზს) სავარგულების შემადგენლობის აღნიშვნით;

გ) სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოს დასკვნას;

დ) რაიაღმასკომის გადაწყვეტილებას;

ე) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სოფლის მეურნეობის სამმართველოს დასკვნებს თავიანთი რესპუბლიკებისა და ოლქის ფარგლებში;

ვ) აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების დადგენილებებს და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის გადაწყვეტილებას თავიანთი რესპუბლიკებისა და ოლქის ფარგლებში.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოამზადებს სათანადო დასკვნას და წარუდგენს საკითხს საქართველოს სსრ მინიტრთა საბჭოს.

22. სახელმწიფო, საზოგადოებრივი და სხვა საჭიროებისათვის მიწების გამოყოფის გაფორმების ვადა ობიექტის სირთულის მიხედვით განისაზღვრება 3 თვემდე, ხოლო განსაკუთრებით რთული და დიდი ობიექტებისათვის, ყოველ ცალკე შემთხვევაში ამ ვადას დააწესებს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო.

23. საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო განიხილავს აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომის შუამდგომლობებს, აგრეთვე იმ რაიაღმასკომების შუამდგომლობებს, რომლებიც არ შედიან ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის შემადგენლობაში, და ნებას დართავს მათ გამოყონ ამ სამინისტროს სისტემის საბჭოთა მეურნეობების, სახელმწიფო ხეხილსანერგეებისა და სხვა მეურნეობათა მიწის ნაკვეთები, აგრეთვე განყოფილებები და ფერმები და გადასცენ ისინი ამავე სამინისტროს სხვა საბჭოთა მეურნეობებს, სახელმწიფო ხეხილსანერგეებს და სხვა მეურნეობებს იმ პირობით, თუ წარმოდგენილი იქნება შემდეგი დოკუმენტები:

ა) გაანგარიშებანი, რომლებიც ასაბუთებენ იმას, რომ საჭიროა მიწის ნაკვეთების გამოყოფა ან განყოფილებებისა და ფერმების გადაცემა ერთი მეურნეობიდან მეორისათვის;

ბ) სათანადო მეურნეობათა მიწების ექსპლიკაცია, ამასთან აღინიშნება გადასაცემი ნაკვეთების ფართობი სავარგულების მიხედვით;

გ) მეურნეობათა ხელმძღვანელების თანხმობა მიწათსარგებლობის საზღვრებისა და რაოდენობის შეცვლისა და განყოფილებებისა და ფერმების ქონების გადაცემის (მიღების) შესახებ;

დ) მიწათსარგებლობის გეგმა (ნახაზი), რომელზეც უნდა აღინიშნოს გამოსაყოფი მიწის ნაკვეთები ან გადასაცემი განყოფილებები და ფერმები;

ე) სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოს მოხსენებითი ბარათი, რაიაღმასკომის გადაწყვეტილება და ავტონომიური სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს ან სოფლის მეურნეობის საოლქო სამმართველოს დასკვნა, რომ მიზანშეწონილია მიწის ნაკვეთების გამოყოფა ან განყოფილებების და ფერმების გადაცემა ერთი მეურნეობიდან მეორისათვის.

24. მას შემდეგ, რაც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო, ხოლო ამ დებულების 23-ე პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო მიიღებს გადაწყვეტილებას მიწების გამოყოფის ან გადაცემის შესახებ, მიწების გამოყოფა ან გადაცემა იწარმოებს ნატურაში სასაზღვრო ნიშნების (ბოძების, მიწის კორღნების და სხვ.) დასმით.

გამოსაყოფი ნაკვეთის საზღვრებს ნატურაში დააზუსტებს და შესაბამის სასაზღვრო ნიშნებს დააყენებს სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოს უფროსი მიწათმომწყობი (ან „საქმიწსახპროექტის“ სამიწათმომწყობო ბრიგადის მიწათმომწყობი) დაინტერესებულ მხარეთა წარმომადგენლების სავალდებულო მონაწილეობით, რაზედაც შედგება აქტი.

ნატურაში მიწის ნაკვეთის გამოყოფის შესახებ შედგენილი აქტი სახელმწიფო ბანკის დაწესებულებებისათვის წარმოადგენს ისეთ დოკუმენტს, რომელიც უფლებას ანიჭებს მათ აწარმოონ მოცემულ მიწის ნაკვეთზე გათვალისწინებული ობიექტების შენებლობის დაფინანსება.

---

42 საშუალო სკოლების კურსდამთავრებული ახალგაზრდობის რიცხვიდან კვალიფიციურ მუშათა მოსამზადებლად საქართველოს სსრ პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემაში ტექნიკური სასწავლებლების მოწყობის შესახებ

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 22 მარტის № 180 დადგენილების შესასრულებლად, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. დაევალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს მოაწყოს სამინისტროებისა და უწყებათა სამრეწველო საწარმოთა ბაზაზე ტექნიკური სასწავლებლები, რომლებიც მოამზადებენ კვალიფიციურ მუშებს საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების კურსდამთავრებულთა რიცხვიდან, დანართის თანახმად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს, თბილისის ელექტრომავალმშენებლობის ქარხანას, ქუთაისის საავტომობილო ქარხანას, ტრესტ საქჰიდროენერგომშენს და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველოს:

ა) გამოყონ შესაბამისი სადგომები, შეაკეთონ და მოამარაგონ ისინი 1966 წლის 1 ივლისამდე საჭირო მოწყობილობითა და ინვენტარით და გადასცენ ტექნიკური სასწავლებლების მოსაწყობად საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს;

ბ) უზრუნველყონ ტექნიკური სასწავლებლების დაკომპლექტება სასწავლო წლის დამდეგისათვის იმ ახალგაზრდობის ხარჯზე, რომელიც მათთან იგზავნება შრომითი მოწყობისათვის.

3. დაევალოთ იმ საწარმოების ხელმძღვანელებს, რომლებთანაც ეწყობა ტექნიკური სასწავლებლები, — ქ. თბილისის № 7 სამკერვალო ფაბრიკის, ქ. თბილისის კამვოლ-მაუდის კომბინატის, გორის ბამბეულის კომბინატის, ქუთაისის აბრეშუმსაქსოვი კომბინატის, თბილისის ელექტრომავალმშენებელი ქარხნის, ქუთაისის საავტომობილო ქარხნის ხელმძღვანელებს, — გადასცენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს არსებული საკლასო ოთახები და სასწავლო საამქროები, რომლებიც წინათ განკუთვნილი იყო ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მოსწავლეთა საწარმოო სწავლებისათვის.

4. დაევალოთ საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს და საქართველოს სსრ ფინანსთა სამინისტროს დამატებით გამოუყონ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტს მუშაკთა საჭირო რაოდენობა, ხელფასის ფონდი და საბიუჯეტო ასიგნობანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველის მოადგილე **დ. ქიტიაშვილი.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 22 აპრილი, № 231.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 22 აპრილის № 231
დადგენილების დანართი

ს ი ა

სამრეწველო საწარმოებისა, რომლებთანაც ეწყობა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პროფესიულ-ტექნიკური განათლების სახელმწიფო კომიტეტის ტექნიკური სასწავლებლები

სამინისტროების, უწყებების და საწარმოების დასახელება	მოსწავლეთა რაოდენობა	შენიშვნა
საქართველოს სსრ მსუბუქი მრეწველობის სამინისტრო — სულ	900	
მათ შორის:		
ქ. თბილისის სამკერვალო ფაბრიკა № 7	200	
ქ. თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატი	200	
გორის ბამბეულის კომბინატი . . .	250	
ქუთაისის აბრეშუმის კომბინატი . .	250	
სსრ კავშირის ელექტროტექნიკური მრეწველობის სამინისტრო		
თბილისის ელექტრომავალმშენებელი ქარხანა	200	
სსრ კავშირის საავტომობილო მრეწველობის სამინისტრო		
ქუთაისის საავტომობილო ქარხანა . .	150	ფილიალი ქ. ქუთაისის № 4 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებელთან
სსრ კავშირის ენერგეტიკისა და ელექტროფიკაციის სამინისტრო		
ტრესტ „საქჰიდროენერგომშენი“ . .	700	ტექნიკურ სასწავლებლებთან
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებ. სამონტაჟო და სპეციალურ სამშენებლო სამუშაოთა სამმართველო		
„საქმონტაჟსპეცმშენის“ სამმართველო	200	3 ფილიალი ქ. თბილისის № 18, ქ. რუსთაველის № 17 და ქ. ქუთაისის № 33 პროფესიულ-ტექნიკურ სასწავლებლებთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

43 „სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის სავაჭრო საწარმოების მიერ მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ“ არსებული ინსტრუქციის დანართების ნაწილობრივ შეცვლის თაობაზე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

საქონლის ნისიად შესაძენად ხელფასის ოდენობის შესახებ იმ ცნობის ნიმუშის ნაცვლად, რომელიც გათვალისწინებულია № 1 დანართით „სახელმწიფო ვაჭრობის სისტემის სავაჭრო საწარმოების მიერ მუშა-მოსამსახურეებისათვის ხანგრძლივი სარგებლობის საქონლის ნისიად მიყიდვის წესის შესახებ“ არსებული ინსტრუქციისა, დამტკიცებული საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 29 აპრილის № 252 დადგენილებით, და აღნიშნული ინსტრუქციის № 4 დანართით გათვალისწინებული საგადამხდელო დავალება-ვალდებულების ნიმუშის ნაცვლად, დამტკიცდეს ასეთი ცნობებისა და დავალება-ვალდებულებათა ახალი ნიმუშები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს № 38 და № 39 თანდართული ფორმების თანახმად.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 26 აპრილი, № 241.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამტკიცებულია
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 26 აპრილის № 241
დადგენილებით
ფორმა № 38

(საწარმოს, ორგანიზაციის

_____

დასახელება)

_____

ძალაშია 15 დღის განმავლობაში დღიდან
გაცემისა 196——წ. „ “

ცნობა №

საქონლის ნისიად საყიდლად მაღაზიაში

მიეცა ————————————————————————————,
(გვარი, სახელი და მამის სახელი)

რომ იგი ნამდვილად მუდმივად მუშაობს ————————————————

———————————————— თანამდებობაზე და მისი საშუალო-

თვიური ხელფასი უკანასკნელი 3 თვის განმავლობაში შეადგენს ———— მან.

————————————————————————————————
(თანხა წერილობით)

ცხოვრობს ამ მისამართით: ————————————————————

აქვს პასპორტი სერია ———————— № ———— გაცემულია მილიციის

განყოფილების მიერ ———————— „ “ ———————— 19————

დავალება-ვალდებულება მოქ. ————————————————————

ხელფასიდან დასაკავებლად გაიგზავნოს მისამართით: ქუჩა ————————

სახლი ————————————

ტელეფონი ————————————

ხელმძღვანელი: ————————————

მთავარი ბუღალტერი: ————————————

ორგანიზაციის ბეჭედი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცნობას გასცემს საწარმოს, ორგანიზაციის, დაწესებულების ადმინისტრაცია მყიდველთა სამუშაო ადგილის მიხედვით ერთ ცალად და ეს უკანასკნელი წარუდგენს სავაჭრო ორგანიზაციას დავალება-ვალდებულებასთან ერთად (ფორმა № 39).

საწარმოს, დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს შეუძლიათ ერთდროულად აძლიონ მუდმივ მომუშავე პირებს, რომელთაც სურთ შეიძინონ საქონელი ნისიად, მხოლოდ თითო ცნობა საშუალო-თვიური (უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში) ხელფასის შესახებ. მეორე ცნობა შეიძლება გაიცეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც გასწორებული იქნება ანგარიში პირველი ცნობის მიხედვით ნისიად გაცემული საქონლისათვის.

ნაყიდი საქონლის საერთო თანხა არ უნდა აღემატებოდეს:

ორი თვის ხელფასს — ისეთი საქონლის ყიდვისას, რომელზედაც დაწესებულია ნაწილ-ნაწილ გადახდა ექვსი თვის განმავლობაში;

ოთხი თვის ხელფასს — ისეთი საქონლის ყიდვისას, რომელზედაც დაწესებულია ნაწილ-ნაწილ გადახდა თორმეტი თვის განმავლობაში.

ცნობები არ მიეცემათ იმ მუშა-მოსამსახურეებს:

რომლებსაც უმუშავნიათ მოცემულ საწარმოში (დაწესებულებაში) ექვს თვეზე ნაკლები;

რომლებსაც უკავდებათ ფული აღსრულებითი ფურცლებით და სხვა აღსრულებითი საბუთებით, რაც შეადგენს ხელფასის 50 პროცენტს;

იმათ, ვინც დათხოვნილ უნდა იქნას სამსახურიდან სხვადასხვა მიზეზით.

ᲓᲐᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲘᲐ
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 26 აპრილის № 241
დადგენილებით

ფორმა № 39

ცნობა		თვიური შესატანის თანხა	უკანასკნელი შესატანის თვე და წელიწადი
თარიღი	ნომერი		

დავალება-ვალდებულება № ———

მე, მოქ. ——————————— „ “ ——————— 196 წ.
(გვარი, სახელი და მამის სახელი)

შევიძინე ———————————————————
(საწარმოს და სავაჭრო ორგანიზაციის დასახელება)

ნისიად, გადასახდელის ნაწილ-ნაწილ გადახდით ——————— თვით

და მივიღე დღეს ——————————— მარკის (არტიკული)
(საქონლის (მასალის) დასახელება)

საქარხნო № ———————

საქონლის საცალო ფასი ——————— მან. ——————კაპ.

შეტანილია ნაღდად საქონლის მიღებისას ———%——— მან. ——— კაპ.

ამას გარდა, შეტანილია —— % ნაწილ-ნაწილ გადახდისათვის ——მან. —— კაპ.

სულ შეტანილია ნაღდად საქონლის მიღებისას ——————— მან. ——————კაპ.

დანარჩენი თანხა ——————————— მან. ——— კაპ.
(აღინიშნოს წერილობით)

უნდა დამიკავოს ———————————————————
(იმ საწარმოს, ორგანიზაციის დასახელება და მისამართი, სადაც მუშაობს მყიდველი)

ჩემი ხელფასიდან ყოველთვიურად თანაბარწილად

——————— მანეთი მთელი დავალიანების დაფარვამდე ხელფასის გაცემის

ვადების გათვალისწინებით 196 —— წ. „ “-დან

ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 39 ფორმის მეორე მხარე

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 29 აპრილის № 252 დადგენილების შესაბამისად იმ საწარმოს, ორგანიზაციის ადმინისტრაცია, სადაც ამ დავალების გამცემი პირი მუშაობს, მოვალეა დაუკავოს მას ხელფასიდან მორიგი გადასახდელების თანხები და გადარიცხოს ისინი

_____ _____ ანგარიშზე

(სავაჭრო ორგანიზაციის დასახელება)

№ _____ სახელმწიფო ბანკის _____ განყოფილებაში

აღნიშვნით: მოქ. _____ დავალიანების დასაფარავად

საქონლისათვის, რომელიც მან ნისიად იყიდა მაღაზიაში № _____

დავალება-ვალდებულებით № _____

დავალება-ვალდებულების ხელმომწერმა წარადგინა პასპორტი

სერია _____ № _____

გაცემული „ “ _____ 19 ___ წ. _____ მილიციის

განყოფილების მიერ, რომელიც გაწერილია ქ. _____

მილიციის _____ განყოფილებაში „ “ 196 ___ წ.

ქუჩა _____, სახლი № _____, ბინა _____

მყიდველის დაბადების წელი და თვე _____

დირექტორი:

უფროსი ბუღალტერი:

„ “ _____ 196 ___ წ. ტელეფონი № _____

აღნიშვნები დაფარვის შესახებ

თარიღი	თანხა	ვალის ნაშთი	თარიღი	თანხა	ვალის ნაშთი	თარიღი	თანხა	ვალის ნაშთი

უფროსი ბუღალტერი:

ჩემი მისამართის და სამუშაო ადგილის გამოცვლას მე დაუყოვნებლივ ვაცნობებ მაღაზიას (ატელიეს) და ვკისრულობ მივცე დავალება-ვალდებულება ახალი სამუშაო ადგილის მიხედვით დარჩენილი დავალიანების დასაკავებლად.

იმ შემთხვევაში, თუ საწარმოდან ან დაწესებულებიდან დათხოვნის შემდეგ მე გადავაცილებ ორი მორიგი შესატანის გადახდის ვადას, — დაუფარავი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავალიანების მთელი თანხა, აგრეთვე საურავი ვადაგადაცილებული თანხის _____ %-ის ოდენობით ყოველ ვადაგასულ დღეში, შეიძლება გადამხდეს იძულებითი წესით, მორიგი გადასახდელების შეტანის ვადების დადგომის მიუხედავად.

მყიდველი _____

(ხელმოწერა)

---

44 იმ მუშაკთა კატეგორიების ნუსხის დამტკიცების შესახებ, რომლებსაც შეიძლება მიეცეთ სამსახურებრივი საცხოვრებელი ფართობი

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. საქართველოს სსრ სამოქალაქო კოდექსის 292 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ნუსხა მუშაკთა კატეგორიებისა, რომლებსაც შეიძლება მიეცეთ სამსახურებრივი საცხოვრებელი ფართობი, დანართის თანახმად.

2. დაევალოს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სამინისტროს შეიმუშაოს და ერთი თვის ვადაში დაამტკიცოს ინსტრუქცია სამსახურებრივი საცხოვრებელი ფართობით სარგებლობის წესის შესახებ.

3. დაევალოთ მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების აღმასკომებს გაითვალისწინონ საცხოვრებელი სახლების პროექტებით, ამ დადგენილების 1 პუნქტში აღნიშნულ მუშაკთა კატეგორიებისათვის სამსახურებრივი საცხოვრებელი სადგომები, რომლებიც უნდა შეადგენდნენ სახლის საერთო საცხოვრებელი ფართობის 3 პროცენტს.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 26 აპრილი, № 242.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 26 აპრილის № 242
დადგენილების დანართი

ნუსხა

იმ მუშაკთა კატეგორიებისა, რომლებსაც შეიძლება მიეცეთ სამსახურებრივი საცხოვრებელი ფართობი

1. მშრომელთა დეპუტატების ადგილობრივი საბჭოების სახლმმართველობებსა და საბინაო-საექსპლუატაციო კანტორებში, სახელმწიფო, კოოპერაციულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებში სამსახურებრივი საცხოვრებელი ფართობი შეიძლება მიეცეთ:

ა) მეეზოვეებს:

— ოჯახიანებს — ცალკეული სადგომი;

— მარტოხელებს — საერთო საცხოვრებელი;

ბ) მელიფტეებს:

— ოჯახიანებს — ცალკეული სადგომი;

— მარტოხელებს — საერთო საცხოვრებელი;

გ) მეცეცხლურებსა და ცეცხლფარეშებს:

— ოჯახიანებს — ცალკეული სადგომი;

— მარტოხელებს — საერთო საცხოვრებელი.

2. სპეციალურ სამსახურებრივ შენობებში, რომლებიც განკუთვნილია თვით დაწესებულებისათვის, სამსახურებრივი საცხოვრებელი ფართობი შეიძლება მიეცეთ სკოლების, მუზეუმების დირექტორებს, საავადმყოფოების, სანატორიუმების (დასასვენებელი სახლების) მთავარ ექიმებს, კომენდანტებს, შვეიცრებსა და სადარაჯო დაცვის პირებს.

45 კოლმეურნეობათა ბალანსებიდან შენობათა, ნაგებობათა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მოწყობილობისა და სხვა ქონების ჩამოწერის წესის შესახებ

შესაბამისად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 7 იანვრის № 10 დადგენილებისა „კოლმეურნეობათა ბალანსებიდან შენობათა, ნაგებობათა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მოწყობილობისა და სხვა ქონების ჩამოწერის წესის შესახებ“, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ადგენს:

მიღებულ იქნას ცნობად, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 7 იანვრის № 10 დადგენილებით „კოლმეურნეობათა ბალანსებიდან შენობათა, ნაგებობათა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მოწყობილობისა და სხვა ქონების ჩამოწერის წესის შესახებ“:

1. საჭიროდ არის მიჩნეული, რომ შენობათა, ნაგებობათა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მოწყობილობისა და იმ სხვა ქონების ჩამოწერა კოლმეურნეობათა ბალანსებიდან, რომელიც გამოუსადეგარია შემდგომი ექსპლუატაციისათვის და რომლის აღდგენა შეუძლებელია, უნდა ხდებოდეს: როდესაც ერთეულის ღირებულება 1500 მანეთამდეა — იმ წესით, რასაც დაადგენს კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრება, ხოლო როდესაც ერთეულის ღირებულება 1500 მანეთს აღემატება — კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრების (რწმუნებულთა კრების) გადაწყვეტილებით.

რჩევა მიეცათ კოლმეურნეობებს შეიყვანონ სოფლის მეურნეობის რაიონული საწარმოო სამმართველოების სპეციალისტები მანქანების, მოწყობილობისა და დანადგარების, აგრეთვე შენობათა და ნაგებობათა ტექნიკური მდგომარეობის გამომრკვევი კომისიების შემადგენლობაში.

2. დაევალა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ორი თვის ვადაში შეიმუშაოს და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან შეთანხმებით დაამტკიცოს ინსტრუქცია შენობათა, ნაგებობათა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის, მოწყობილობისა და ისეთი სხვა ქონების ჩამოწერის წესის შესახებ, რომელიც ირიცხება კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისა და ორგანიზაციების ძირითადი ფონდების შემადგენლობაში, გამოუსადეგარია შემდგომი ექსპლუატაციისათვის და შეუძლებელია მისი აღდგენა, ამასთან იხელმძღვანელოს ამ დადგენილების 1 პუნქტით და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 4 ოქტომბრის № 731 დადგენილებით დამტკიცებული დებულებით სოციალისტური სახელმწიფო საწარმოს შესახებ (სსრკ დადგ. კრ., 1965 წ. № 19-20, მუხ. 155).

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი ა. ჭირაქაძე.

ქ. თბილისი, 1966 წ. 26 აპრილი, № 244.

46 საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილების დამატების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

დაემატოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1963 წლის 16 აპრილის № 250 დადგენილებით დამტკიცებულ სიას იმ საწარმოებისა და დაწესებულებებისა, რომელთა სახლებიდან, სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 62 მუხლის შესაბამისად, დასაშვებია იმ მუშა-მოსამსახურეთა გამოსახლება სასამართლო წესით საცხოვრებელი ფართობის მიუცემლად, რომელთაც შეწყვიტეს შრომითი დამოკიდებულება საკუთარი სურვილით დათხოვნასთან დაკავშირებით ან შრომის დისციპლინის დარღვევისათვის, ანდა დანაშაულის ჩადენისათვის, — შემდეგი პუნქტი:

„66. საცხოვრებელი სახლები სსრ კავშირის სახელმწიფო ბანკის საქართველოს რესპუბლიკური კანტორისა და მისდამი დაქვემდებარებული აფხაზეთის, აჭარის და სამხრეთ ოსეთის კანტორებისა, სახელმწიფო ბანკის განყოფილებებისა და სააგენტოებისა საქართველოს სს რესპუბლიკაში“.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **ბ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 27 აპრილი, № 247.

47 საქართველოს სს რესპუბლიკაში ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების ერთიანი შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასების დაწესების შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭო ა დ გ ე ნ ს:

1. დაწესდეს კოლმეურნეობებისა, საბჭოთა მეურნეობებისა და სხვა სახელმწიფო საწარმოებისათვის ბოსტნეულის და ბაღჩეული კულტურების ერთიანი შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასები, დანართის თანახმად.

2. დაწესდეს, რომ ბოსტნეული, რომელსაც კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობები მიიტანენ (ჩააბარებენ) უშუალოდ მაღაზიებში, საზოგადოებრივი კვების საწარმოებში, აგრეთვე საბავშვო და სამკურნალო დაწესებულებებში, მიტანის მანძილის მიუხედავად უნდა ანაზღაურდეს საცალო ფასებში, სავაჭრო ფასჩამოკლებით.

ბოსტნეული, რომელსაც კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა მეურნეობები მიიტანენ (ჩააბარებენ) უშუალოდ სავაჭრო ორგანიზაციების საბითუმო ბაზებში, უნდა ანაზღაურდეს საცალო ფასებში, რასაც გამოაკლდება სავაჭრო ფასჩამოკლება 9 პროცენტის რაოდენობით და დამატებითი ფასჩამოკლება 5 პროცენტის რაოდენობით, რომელიც განკუთვნილია ამ ბაზე-

ბის იმ მიმდინარე ხარჯების ასანაზღაურებლად, რაც მათ გასწიეს ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების მიღებისა, შენახვისა და რეალიზაციისათვის.

3. დაევალოთ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ვაჭრობის სამინისტროს, „საქმთავარკონსერვხილბოსტანს", ცეკავშირს და მათს ადგილობრივ ორგანოებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასკომს და რაიაღმასკომებს გააფართოონ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების პირდაპირი ურთიერთობა სამრეწველო საწარმოებთან და სავაჭრო ორგანიზაციებთან კარტოფილის, ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების რეალიზაციისათვის იმ ანგარიშით, რომ დროზე მიიტანონ ისინი მომხმარებელთან.

4. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოაწყოს შეძლებისდაგვარად 1966 წელს, რომ საგარეუბნო საბჭოთა მეურნეობებმა მიუტანონ და ჩააბარონ ბოსტნეული უშუალოდ ქ. თბილისის მაღაზიებს, საზოგადოებრივი კვების საწარმოებსა და სავაჭრო ბაზებს, ამასთან ჩაბარებული პროდუქციის ანაზღაურება მოხდეს ამ დადგენილების მე-2 პუნქტის შესაბამისად.

5. დაევალოს „საქმთავარკონსერვხილბოსტანს" დახმარება გაუწიოს გასაგზავნი ტარით მომარაგების საქმეში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რომლებიც უშუალო ურთიერთობას ახორციელებენ სამრეწველო საწარმოებთან და სავაჭრო ორგანიზაციებთან.

6. დაევალოს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს მოაწყოს მებოსტნეობის სპეციალიზებულ საბჭოთა მეურნეობებში პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვა და აღრიცხვა ყველა ბოსტნეული კულტურის მიხედვით საშუალოდ და ცალ-ცალკე თავთეთრა კომბოსტოსი, კიტრისა, პამიდორისა, თავიანი ხახვისა, სუფრის ჭარხლისა, ბადრიჯნისა და სტაფილოსი.

7. დაევალოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან არსებულ ფასების კომიტეტს, საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროსთან, ფინანსთა სამინისტროსთან, სოფლის მეურნეობის სამინისტროსთან და „საქმთავარკონსერვხილბოსტანთან" შეთანხმებით, ერთი თვის ვადაში დაამტკიცოს დამამზადებელ ორგანიზაციათა ზედნადები ხარჯებისა და დაგროვების ნორმები სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის შესყიდვისათვის და წინადადებანი ცალკეული სახის სასოფლო-სამეურნეო კულტურების დანახარჯების აღრიცხვის მოწყობის შესახებ.

8. მიღებულ იქნას ცნობად და სახელმძღვანელოდ, რომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1965 წლის 6 სექტემბრის № 673 დადგენილებით ძალადაკარგულად ითვლება:

ა) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1954 წლის 15 აპრილის № 727 დადგენილების 45-ე პუნქტის ქვეპუნქტი „დ", რომლის თანახმად საბჭოთა მეურნეობების მიერ დამამზადებელი ორგანიზაციებისათვის ჩაბარებული ბოსტნეულის, კარტოფილისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების ანაზღაურება ხდებოდა იმ ზოლის მოქმედ სახელმწიფო საცალო ფასებში, რომელშიაც საბჭოთა მეურნეობა მდებარეობს, რასაც

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოაკლდება სავაჭრო ფასჩამოკლება და დამამზადებელ ორგანიზაციათა ხარჯების ფასჩამოკლება;

ბ) სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 7 სექტემბრის № 1647 დადგენილება.

9. ძალადაკარგულად ჩაითვალოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1959 წლის 29 მაისის № 432 და 1959 წლის 12 დეკემბრის № 951 დადგენილებანი, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს 1955 წლის 21 დეკემბრის № 1658, 1960 წლის 9 ივნისის № 669 და 1955 წლის 14 სექტემბრის № 1129 განკარგულებანი.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
თავმჯდომარე **გ. ჯავახიშვილი.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
საქმეთა მმართველი **ა. ჭირაქაძე.**

ქ. თბილისი, 1966 წ. 27 აპრილი, № 249.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს
1966 წლის 27 აპრილის № 249
დადგენილების დანართი

იმ ბოსტნეულისა და ბაღჩეული კულტურების შესასყიდი (ჩასაბარებელი) ფასები, რომლებსაც სახელმწიფოს მიჰყიდიან და ჩააბარებენ კოლმეურნეობები, საბჭოთა მეურნეობები და სხვა სახელმწიფო სასოფლო-სამეურნეო საწარმოები და ორგანიზაციები საქართველოს სს რესპუბლიკაში

(მანეთობით ტონაში)

კულტურების დასახელება	ფასის მოქმედების ვადა	შესასყიდი ფასი
თავთეთრა კომბოსტო	იანვარი, თებერვალი, მარტი . . .	140
	აპრილი, მაისი	200
	ივნისი	150
	ივლისი, აგვისტო, სექტემბერი . . .	70
	დანარჩენი თვეები	60
კიტრი	დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი	1400
	ოქტომბერი, ნოემბერი	200
	ივნისი	250
	ივლისი, აგვისტო	80
	სექტემბერი	100
ნეკინის კიტრი 70 მმ/მდე	მთელ სეზონში	350
კიტრი 71-დან 110 მმ/მდე	მთელ სეზონში	250
კიტრი 110 მმ-ზე მეტი	მთელ სეზონში	150
პამიდორი წითელი	დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი	1800
	ივნისი, ნოემბერი	500
	ივლისი	200
	აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი .	80
პამიდორი მწვანე და მუქა	მთელ სეზონში	50
თავიანი ხახვი	ნოემბერი, დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი, მაისი, ივნისი	250
	ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი	150
მწვანე ხახვი	დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი	150
	მაისი, ივნისი	60
	დანარჩენი თვეები	50
პრასა	დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი	150
	დანარჩენი თვეები	100
ნიორი ფოჩიანი (მთლიანი ან ნაწილობრივ ჩამოჭრილი ფოჩით)		150
ნიორი ახალი უფოჩო		300
ნიორი თავიანი ახალი	1 სექტემბრამდე	500
ნიორი თავიანი ხმელი	სექტემბერი, ოქტომბერი	600

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურების დასახელება	ფასის მოქმედების ვადა	შესასყიდი ფასი
	დანარჩენი თვეები	800
საადრეო სტაფილო ფოჩიანი (კონებად)	მთელ სეზონში	200
სტაფილო უფოჩო	ივლისი, აგვისტო, სექტემბერი, ოქტომბერი, ნოემბერი	70
	დანარჩენი თვეები	100
სუფრის ჭარხალი ფოჩიანი	მთელ სეზონში	80
სუფრის ჭარხალი უფოჩო	მთელ სეზონში	40
	დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი	400
ყვავილოვანი კომბოსტო	აპრილი, ოქტომბერი, ნოემბერი,	300
	დანარჩენი თვეები	250
ბადრიჯანი	ივნისი, ივლისი	130
	დანარჩენი თვეები	50
წიწაკა მწარე მშრალი (წითელი) ახალი	მთელ სეზონში	1500
წიწაკა მწარე (წითელი) მწვანე	მთელ სეზონში	300
წიწაკა ტკბილი ახალი (ბულგარული)	მთელ სეზონში	180
ისპანახი	დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი	200
	დანარჩენი თვეები	60
თვის ბოლოკი	დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი	250
წითელი ბოლოკი (ჩინური)	მთელ სეზონში	70
თალგამი	მთელ სეზონში	200
ყაბაყი	მთელ სეზონში	70
პარკი ლობიო:		
გურული „ჩიტისკვერცხა“ და სხვა საკონსერვო ჯიშები	მთელ სეზონში	300
პარკი ლობიო დანარჩენი ჯიშებისა	მთელ სეზონში	200
მწვანე ბარდა რძისებრი სიმწიფისა	მთელ სეზონში	300
პარკიანი	მთელ სეზონში	100
პატისონი		
	მთელ სეზონში	200
ძირთეთრა	მთელ სეზონში	300
ნიახური	მთელ სეზონში	300
კამა		
	მთელ სეზონში	300
ქონდარი და რეჰანი	მთელ სეზონში	400
მაკუნა	მთელ სეზონში	70
კოლრაბი (კეჟერა)	მთელ სეზონში	300
პიტნა მწვანე	დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი	400
ოხრახუში	დანარჩენი თვეები	200
	იანვარი, თებერვალი, მარტი, აპრილი	300
წიწმატი	დანარჩენი თვეები	100
	მთელ სეზონში	250
სალათა	მთელ სეზონში	700
ტარხუნა	დეკემბერი, იანვარი, თებერვალი, მარტი	380
ქინძი	დანარჩენი თვეები	200
სიმინდი ტაროებში რძისებრი სიმწიფისა	მთელ სეზონში	60

ეროვნული ბიბლიოთეკა

კულტურების დასახელება	ფასის მოქმედების ვადა	შესასყიდი ფასი
საზამთრო	1 აგვისტომდე	150
	1 აგვისტოს შემდეგ	80
ნესვი	1 აგვისტომდე	250
	1 აგვისტოს შემდეგ	150
გოგრა	მთელ სეზონში	70

ეს ფასები დაწესებულია სტანდარტულ ბოსტნეულსა და ბაღჩეულ კულტურებზე ფრანკო-კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობისათვის.

როდესაც ხდება რესპუბლიკური ტექნიკური პირობებისაგან გადახრის მქონე, მაგრამ გადასამუშავებლად სავსებით ვარგისი პამიდორის მიღება, — მისი ანაზღაურება წარმოებს შესასყიდ ფასებში 20 პროცენტის ფასჩამოკლებით.

წვრილნაყოფიანი ჯიშების პამიდორისათვის (გუმბერტი, რიბკა, სანმარტინო), რომლებიც გადამმუშავებელი მრეწველობის საწარმოებს ბარდება, გაიცემა დანამატი იმ ფასების 50 პროცენტის ოდენობით, რაც დაწესებულია სტანდარტულ პამიდორზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОБРАНИЕ ПОСТАНОВЛЕНИЙ ПРАВИТЕЛЬСТВА ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 2 1966 ГОД

გამომცემელი: საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული იურიდიული კომისია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 27/VI-1966 წ. ქაღალდის ზომა 70 × 108, ქაღალდი 8750, ნაბეჭდი თაბახი 6,5, სააღრიცხვო თაბახი 5,0.

წლიური ხელმოწერის ფასი 3 მან.

თარგმნილია რუსულიდან

ტირაჟი 2700 შეკვეთა № 803

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს საქმეთა მმართველობის სტამბა
თბილისი, რუსთაველის გამზირი № 8.

ᲘᲜᲕᲔᲜᲢᲐᲠᲘ — 76182